პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

№ 147 (18389) ხუთშაბათი, 24 ივნისი, 1982 წელი ფასი 3 კაპ.

განუხრელად სრულვყოფდეთ მშრომელთა ინტერნაციონალურ აღზრდას

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატის, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხანაგ ე. ა. შევარდნაძის სიტყვა იდეოლოგიურ მუშაკთა მეორე რესპუბლიკური თათბირ-სემინარის გახსნისას 1982 წლის 23 ივნისს

ამხანაგებო!

შარშან, ივლისში ჩვენ იდეოლოგიურ მუშაკთა პირველი რესპუბლიკური თათბირ-სემინარი ჩავატარეთ. მაშინ გადაწყდა ასეთი ღონისძიებანი ყოველწლიურად გაგვემართა. მეც დასაბამი კიდევ ერთ კარგ, სასარგებლო ტრადიციას.

ჩვენი დღევანდელი, მეორე ასეთი შეხვედრა ეძღვნება მშრომელთა ინტერნაციონალური აღზრდის შემდგომი სრულყოფის ამოცანებს „საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის მე-60 წლისთავის შესახებ" სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების მოთხოვნების მიხედვით.

სანამ ვიტყოდეთ, თუ რა მნიშვნელობას ვანიჭებთ ახლანდელ თათბირ-სემინარს, რა უკუგებას ველით მისგან, გვინდა აღვნიშნოთ ერთი საგულისხმო გარემოება: როგორც შარშან, ისე წელსაც სემინარები მოვიწვიეთ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმების დამთავრებისთანავე, რომლებიც ჩვენთვის, რესპუბლიკისათვის ერთგვარი საეტაპო პლენუმები იყო.

გასულ წელს — ეს გახლდათ III პლენუმი, რომელმაც განიხილა საქართველოს პარტიული ორგანიზაციის გადაუდებელი ამოცანები თბილისში გამართულ ზეიმზე ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლის მიხედვით, და პირველი რესპუბლიკური თათბირ-სემინარი, რომელმაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულა იმ პლენუმის გადაწყვეტილებათა განსახორციელებლად იდეოლოგიური აქტივის მობილიზაციის საქმეში.

წელს ჩვენ ასევე შევიკრიბენით ღირსშესანიშნავ დროს — სულ ახლახან გაიმართა ცენტრალური კომიტეტის პლენუმი, რომელზეც განვიხილეთ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის მაისის პლენუმის შედეგები და რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის ამოცანები სსრ კავშირის სასურსათო პროგრამისა და მისი რეალიზაციის ღონისძიებათა თაობაზე ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენების შესაბამისად.

მართალი გითხრათ, როცა შარშან პირველად ვამზადებდით თათბირ-სემინარს, სწორედ ასეთი სპექტით, ჩვენ ყველანი, ცენტრალური კომიტეტის მდივნები, ბიუროს წევრები, ცენტრალური კომიტეტის მთელი აპარატი, ცოტა არ იყოს, ვღელავდით, განვიცდიდით: როგორი გამოგვივა, როგორ აღიქვამენ იდეოლოგიური მუშაკები სემინარული მუშაობის ახალ ფორმებს, რამდენად ეფექტიანად შევძლებთ ჩვენ თავად გამოვიყენოთ ისინი. უნდა ითქვას, რომ თათბირ-სემინარის შედეგებმა, მისი მუშაობის ფორმამ და შინაარსმა გაგვიმართლა იმედი.

თათბირ-სემინარს განსაკუთრებული მნიშვნელობა მიანიჭა იმ გარემოებამ, რომ მის მუშაობაში აქტიურად მონაწილეობდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდის განყოფილების გამგე ამხ. ევგენი მიხეილის ძე ტიაჟელნიკოვი, რომელმაც ჩვენთვის ძალზე საინტერესო, შინაარსიან გამოსვლაში, ყველას ასე კარგად რომ დაგვამახსოვრდა, აღნიშნა, რომ ჩვენი თათბირ-სემინარი ყოველგვარი მოწონების ღირსია და თქვა, რომ იგი მოიცავს პარტიული ორგანიზაციის იდეოლოგიური ცხოვრების ყველა აქტუალურ ასპექტს.

უნდა ვივარაუდოთ, რომ ასეთივე შინაარსიანი და ასეთივე სასარგებლო იქნება ჩვენი დღევანდელი თათბირ-სემინარიც, თუ გავითვალისწინებთ, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის მაისის პლენუმმა უაღრესად დიდმნიშვნელოვანი, მასშტაბური ამოცანები დაუსახა იდეოლოგიურ მუშაკებსაც, და ამ ამოცანების წარმატებით გადაწყვეტაზე დიდად არის დამოკიდებული სასურსათო პროგრამის ბედი.

პლენუმზე ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა ხაზი გაუსვა, რომ სასურსათო პროგრამა — „ეს არის არა მარტო უპირველესი ეკონომიკური, არამედ აგრეთვე აქტუალური, სოციალურ-პოლიტიკური ამოცანა". სწორედ ამიტომ, სასურსათო პროგრამის, ერთთოდ ქვეყნის სოციალური განვითარების გეგმების წარმატებით განხორციელებისათვის აუცილებელია ჩვენი საზოგადოების ყველა ფენის, ქალაქისა და სოფლის ყველა მშრომელის, მუშების, კოლმეურნე გლეხობის, ინჟინერ-ტექნიკური, მეცნიერული და შემოქმედი, სოფლის ინტელიგენციის, ყოველი საბჭოთა ადამიანის მთელი ძალების ღრმად გააზრებული კონცენტრაცია. ამას კი იდეურ-აღმზრდელობითი ზემოქმედების ყველა საშუალების, ფორმისა და მეთოდის მაღალეფექტიანი იდეოლოგიური უზრუნველყოფის, მობილიზაციის გზებით მივაღწევთ.

პლენუმზე ჩვენ ვთქვით, რომ სასურსათო პროგრამა საყოველთაო-სახალხო საქმეა, ეს კი ნიშნავს, რომ იგი უნდა ხორციელდებოდეს მთელი ხალხის ეცადინეობით, ჩვენი ქვეყნის ყველა ერისა და ეროვნების გაერთიანებული ძალისხმევით, ჩვენი საზოგადოების ინტერნაციონალური ერთიანობის, სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობისა და ძმობის ზრდისა და განმტკიცების საფუძველზე.

და როგორც სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ამასწინანდელ სხდომაზე თქვა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა, ყველა ეროვნების მშრომელთა ძმური ერთიანობა თავისთავად არ ჩნდება, მის განმტკიცება-განვითარებას დიდი და გულმოდგინე მუშაობა სჭირდება.

აი, რატომ ვანიჭებთ განსაკუთრებულ, პრინციპულ მნიშვნელობას ჩვენს დღევანდელ თათბირ-სემინარს, რომელიც ინტერნაციონალური აღზრდის სრულყოფის აქტუალურ ამოცანებს ეძღვნება.

მინდა მოგახსენოთ ისიც, რომ ასეთი უაღრესად სერიოზული იდეოლოგიური ღონისძიების მოწყობა დიდ პასუხისმგებლობას აკისრებს ჩვენს იდეოლოგიურ სამსახურებს, მთელ ჩვენს იდეოლოგიურ აქტივს, ისე უნდა გავაკეთოთ, რომ ყოველი ასეთი შეხვედრა კონკრეტული ხასიათისა იყოს და აიარაღებდეს ჩვენს იდეოლოგიურ კადრებს პრაქტიკული ცოდნით, ადამიანებთან აღმზრდელობითი მუშაობის ჩვევებით.

ეს — ერთი მხრივ.

მეორე მხრივ, ჩვენ უფლება გვაქვს მოვითხოვოთ, რომ წელიწადს, რომელიც ერთ სემინარს მეორისაგან ჰყოფს, კონკრეტული პრაქტიკული შედეგები მოჰქონდეს. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ამ ბოლო პლენუმზე უკვე ითქვა, რომ ამიერიდან ჩვენ იდეოლოგიური მუშაობის შესახებაც ასევე საბოლოო შედეგების მიხედვით ვიმსჯელებთ.

ამ მიმართულებით უკვე დასახა რეალური ძვრები: ამის თაობაზე, ალბათ, უფრო დაწვრილებით იტყვის თავის მოხსენებაში ამხ. გ. ნ. ენუქიძე. მინდა მხოლოდ აღვნიშნო, რომ გასულმა წლის მანძილზე პარტიულ ორგანიზაციათა პოლიტიკურ-აღმზრდელობითი ზემოქმედება ცხოვრების ყველა მხარეზე კიდევ უფრო მიზანმიმართული, უფრო აქტიური გახდა, იდეოლოგიურ მუშაობაში გაჩნდა ბევრი ახალი, საინტერესო, ნამდვილად შემოქმედებითი თაოსნობა. დღეს განსაკუთრებით მინდა გავუსვა ხაზი, რომ ახლა გაცილებით მეტი ყურადღება ეთმობა სოციალურ-ეკონომიკური ამოცანების იდეოლოგიურ უზრუნველყოფას; ყველამ კარგად იცით ცენტრალური კომიტეტის დადგენილება წითელწყაროს რაიონის შესახებ, რომელიც შეიცავს ზუსტ მითითებებს, მოცემული პრობლემების გადაჭრის მეთოდიკას.

ახლა საერთოდ გაცილებით გაფართოვდა იმ საკითხთა წრე, რომლებზეც ვამახვილებთ ყურადღებას იდეოლოგიურ მუშაობაში: ეს გახლავთ საცხოვრებელი ადგილის მიხედვით მუშაობა, ახალგაზრდა თაობის პოლიტიკურ აღზრდაში ოჯახის როლის გაძლიერების საკითხები, სამხედრო-პატრიოტული აღზრდის ამოცანების კომპლექსური გადაწყვეტა და უშუალოდ ადამიანებთან მუშაობის, ჩვენს ცხოვრებაში მიმდინარე ცვლილებების არსის, არსებული პრობლემებისა და სიძნელეების გულახდილი განმარტების ახალი ფორმების უფრო თამამი ძიება.

გაჩნდა ისეთი ახალი ფორმაც, როგორიც არის ქალაქების, რაიონების, ცალკეული ორგანიზაციების იდეოლოგიური პასპორტები. ძალიან კარგია, რომ უკანასკნელ ხანს სამინისტროებმა და უწყებებმა მტკიცედ მოჰკიდეს ხელი კოლექტივებში აღმზრდელობითი მუშაობის მდგომარეობისათვის სამეურნეო კადრების პასუხისმგებლობის გაძლიერების საკითხებს. აღმზრდელობითი მუშაობის საინტერესო ფორმებსა და მეთოდებს დაინერგა რესპუბლიკის განათლებისა და უმაღლესი და საშუალო სასწავლებლების სამინისტროთა სისტემებში, კარგია, რომ იგივე ფორმებს უკვე იყენებენ დარგობრივ სამინისტროებშიც, კერძოდ, მსუბუქი მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროთა სისტემაში, რა თქმა უნდა, ამ დარგების სპეციფიკის შესაბამისად.

დღეს უფრო სოლიდურ საფუძველზეა დამყარებული იდეოლოგიური მუშაობის ისეთი დიდმნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილი, როგორიც არის საზოგადოებრივი აზრის შესწავლა, ანალიზი, პროგნოზირება და ფორმირება. სასიხარულოა, რომ ადამიანები ახლა გულახდილად ლაპარაკობენ, გულახდილად გამოთქვამენ თავიანთ აზრს ყველა პრობლემაზე, რომლებიც მათ აწუხებთ. კარგი რეზონანსი ჰპოვა ისეთმა ფრიად სასარგებლო წამოწყებამ, როგორიცაა წიგნის „გულახდილი დიალოგი" — ყველაზე აქტუალურ, საჭირბოროტო კითხვებზე პასუხების კრებულის ყოველწლიურად გამოცემა. მოსასალმებელია იდეოლოგიური მუშაობის საკითხებისადმი მიძღვნილი მთელი რიგი სხვა წიგნების, კრებულების გამოცემაც, რომლებშიც ბევრი რამ არის სასარგებლო და საინტერესო კონკრეტული პრაქტიკული საქმიანობისათვის.

მტკიცედ შეგვიძლია ვთქვათ, რომ იდეოლოგიური, პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის აქტიური გარდაქმნის ამჟამად მიმდინარე პროცესში დიდმნიშვნელოვანი როლი შეასრულა იდეოლოგიურ მუშაკთა შარშანდელმა თათბირ-სემინარმა.

ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ ნაკლები პრაქტიკული მნიშვნელობა არც ახლანდელ შეხვედრას ექნება. ამხანაგები კარგად გაიხსენებენ: დიდი პასუხისმგებლობით, შემოქმედებითად მიუდგნენ წლევანდელი თათბირ-სემინარის ორგანიზაციას, მიაგნეს სემინარული მუშაობის ბევრ ახალ, საინტერესო ფორმას, რომლებიც პირველად პოვებენ პრაქტიკულ გამოყენებას. პლენარულ სხდომებთან, სექციურ მუშაობასთან, სადისკუსიო კლუბების ორგანიზაციასთან ერთად ახლა მოეწყობა კონფერენცია-დიალოგები და საქმიანი თამაშები.

ამ ცოტა ხნის წინათ მორიგი მეცადინეობა გაიმართა იდეოლოგიურ მუშაკთა რესპუბლიკურმა სკოლამ. მეცადინეობის თემა ფრიად აქტუალური იყო: იდეოლოგიურ მუშაობაში ფორმალიზმთან ბრძოლის საკითხები. ეს ძალზე სწორია. ფორმალიზმი ხომ საშიში მტერია საერთოდ ყოველგვარ საქმეში და განსაკუთრებით — აღმზრდელობით მუშაობაში. უკანასკნელი წლების მანძილზე რესპუბლიკაში ბევრი რამ გაკეთდა ამ სფეროში არსებულ ფორმალიზმის გამოვლინებათა აღმოსაფხვრელად, ეს მუშაობა, ეს ბრძოლა არ უნდა შევასუსტოთ, პირიქით, ყოველნაირად უნდა გავაძლიეროთ, მე ვიტყოდი, უნდა გავამკაცროთ იგი.

მჯერა, რომ ახლანდელ თათბირ-სემინარზე სწავლება სწორედ ასეთი სულისკვეთებით წარიმართება, იგი არ იქნება ფორმალური. თვით თათბირ-სემინარი, მისი შედეგები ზნეობრივ-ფსიქოლოგიური კლიმატის შემდგომი გაჯანსაღებისათვის მთელი ჩვენი ბრძოლის, ყოველგვარი ანტიპოდური მოვლენების, კერძომესაკუთრეობრივი ტენდენციების, ბიუროკრატიზმის, ნიჰილიზმის, დემაგოგიის, ობივატელობის წინააღმდეგ ბრძოლის ორგანული შემადგენელი ნაწილი გახდება.

ასეთი მიდგომა, ასეთი შეერთება საუკეთესო ხერხია სახელოვანი იუბილეს — სსრ კავშირის შექმნის მე-60 წლისთავის შესახვედრად. ახლა ჩვენ ყველანი ვემზადებით ამ ღირსშესანიშნავი თარიღის აღნიშვნისათვის.

ჯერ კიდევ ჩვენი პარტიის ისტორიის ოქტომბრამდელ პერიოდში ვ. ი. ლენინმა აღნიშნა:

„თუ გვინდა სოციალიზმის ერთგული ვიყოთ, ახლავე უნდა დავიწყოთ მასების ინტერნაციონალისტური აღზრდა..."

დიდმა ოქტომბერმა, ჩვენს ცხოვრებაში, საბჭოთა ხელისუფლების წლების მანძილზე მომხდარმა ულრმესმა სოციალურ-ეკონომიკურმა გარდაქმნებმა ყველა საჭირო პირობა შექმნეს ეროვნული საკითხის „საბოლოო და სამუდამო" გადაწყვეტისათვის. ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვებით რომ ვთქვათ — „ეს არის მიღწევა, რომელიც სამართლიანად შეგვიძლია დავაყენოთ სსრ კავშირში ახალი საზოგადოების მშენებლობის ისეთ გამარჯვებათა გვერდით, როგორიც იყო ინდუსტრიალიზაცია, კოლექტივიზაცია, კულტურული რევოლუცია".

ეროვნული ურთიერთობის დარგში სოციალიზმის მსოფლიო კანონის განვითარების მთავარი ტენდენციაა ყველა ერის და ეროვნების განუხრელი ჰარმონიული აყვავება და დაახლოება. ეს არის ისტორიული კანონზომიერება, რომლის მნიშვნელობა სულ უფრო იზრდება განვითარებული სოციალიზმის პირობებში. ორივე ტენდენცია — როგორც ერების აყვავება, ისე მათი დაახლოება — ობიექტური ხასიათი აქვს, ისინი შეგვიძლია შევცნოთ და ამ საფუძველზე ვმართოთ.

ამოცანა, რომელსაც დღეს აყენებს პარტია, — ეს არის შექმნა ყველა ერისა და ეროვნების განუხრელი ყოველმხრივი აყვავებისა და შემდგომი დაახლოების ყოველგვარი — როგორც მატერიალური, ისე სულიერი წანამძღვრების.

ამ ამოცანის წარმატებით შესრულება მოითხოვს უზრუნველყოთ ინტერნაციონალური და პატრიოტული აღზრდის მჭიდრო ერთიანობა. ჩვენს სოციალისტურ საზოგადოებაში ინტერნაციონალური არ არსებობს პატრიოტულის გარეშე, ხოლო პატრიოტული, უთუოდ გულისხმობს ინტერნაციონალურს. ამ მოთხოვნის ოდნავი უგულებელყოფაც კი, ამ მუშაობის შესუსტება, თუნდაც დროებით შეწყვეტა ამახინჯებს ობიექტურ რეალობას და ზიანს აყენებს ადამიანთა შეგნებას.

ავიღოთ ეროვნული კულტურების საკითხი. სოციალიზმის კანონზომიერება ისეთია, რომ მის დროს, სოციალიზმის დროს, ისპობა ყოველი, თუნდაც ყველაზე პატარა ერისა და ეროვნების სულიერი მემკვიდრეობის თავისთავადობის გაქრობის, ნიველირების ყოველგვარი წანამძღვარი. საუცხოოდ ბრძანა ტაშკენტში გამართულ საიუბილეო ზეიმზე ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა: „ცხოვრება ცხადყოფს, რომ ჩვენი მოძულეების ცილისწამების მიუხედავად სოციალიზმი არათუ არ უკარგავს ხალხებს თავის განუმეორებელ სახეს, კულტურის, ტრადიციების თავისებურებებს, არამედ ეს თავისებურებანი აჰყავს ახალ სიმაღლეზე და ბევრი სხვა ხალხის კუთვნილებად აქცევს".

ამ პროცესის არსი ის არის, რომ კომუნისტური პარტია ნიადაგ კონკრეტულად ზრუნავს ეროვნული კულტურების, ეროვნული ფენომენისათვის. სწორედ ასეთ პირობებში, სწორედ ასეთი მიდგომის დროს, როცა ყველა ხალხი და ყველა ერი გრძნობს პარტიის თანაბარ მზრუნველობას ყველა ერისა და ეროვნებისათვის, ნათლად ხედავენ ამ მზრუნველობის რეალურ შედეგს, — იქმნება ხალხთა მეგობრობისა და ძმობის შემდგომი განმტკიცების საუკეთესო საფუძველი. ასეთ მიდგომას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ჩვენი რესპუბლიკისათვის. ანუ, სოციალიზმის დროს ყოვლად უსაფუძვლოა ამა თუ იმ ეროვნული ფენომენის ყოფნა-არყოფნის შიში. საჭიროა სწორედ ასეთი მიდგომით მივიყვანოთ ერთ-ერთი მთავარი ლენინური მოთხოვნის განხორციელებამდე: განვამტკიცოთ აბსოლუტური ნდობა ჩვენი ქვეყნის ყველა ერსა და ყველა ეროვნებას შორის.

ინტერნაციონალური აღზრდა არ უნდა იყოს რაღაც დოგმატური, ერთხელ და სამუდამოდ დამკვიდრებული პროცესი, რომელიც უცვლელი, გაყინული მუშაობის ფორმებითა და მეთოდებით ხორციელდება.

ამას მოითხოვს პარტია, ამას გვიბრძანებს ცხოვრება.

მრავალეროვან სახელმწიფოში, მრავალეროვან რესპუბლიკაში ერების ურთიერთობა ინტენსიური, განვითარებადი პროცესია. ამიტომ ჩვენი იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობაც ნიადაგ უნდა იხვეწებოდეს, ვითარდებოდეს, როგორც გახსოვთ, ამის შესახებ ფრიად სერიოზული, პრინციპული საუბარი გვქონდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1978 წლის XI პლენუმზე, რომელზეც განვიხილეთ რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის ამოცანები პარტიულ-პოლიტიკური, იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესების საქმეში.

თანამედროვე პირობებში ინტერნაციონალური აღზრდის პრობლემებს უდიდესი ყურადღება დაეთმო ლენინური ეროვნული პოლიტიკის საკითხებისადმი მიძღვნილ საკავშირო სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციაზე, რომელიც 1976 წელს გაიმართა თბილისში, და რომლის რეკომენდაციებსა და დასკვნებს უაღრესად მნიშვნელოვანი, მე ვიტყოდი, პრინციპული მნიშვნელობა ჰქონდა მთელი ჩვენი იდეოლოგიური მუშაობის შემდგომი სრულყოფისათვის.

ჩვენი თათბირ-სემინარი, რომელიც დღეს იწყებს მუშაობას, მთავარ ამოცანად ისახავს შეაიარაღოს ჩვენი იდეოლოგიური კადრები მშრომელთა ინტერნაციონალური აღზრდის პრაქტიკული უნარით, ჩვევებით. აი, რატომ უნდა განვიხილოთ ეს საკითხები არა იზოლირებულად, არა როგორც აღმზრდელობითი საქმიანობის დახშული სფერო, არამედ როგორც უმნიშვნელოვანესი ორგანული შემადგენელი ნაწილი კომუნისტური აღზრდისა, იმ ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის მთელი კომპლექსისა, რომელსაც პარტიული ორგანიზაციები ეწევიან მშრომელთა დასარაზმავად აქტუალური სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული ამოცანების წარმატებით შესრულებისათვის.

ნიადაგ უნდა გვახსოვდეს ისიც, რომ უკანასკნელ ათწლეულში, პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის თაობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის ცნობილი დადგენილების მიღებიდან გასულ ათწლეულში, აბსოლუტურად მისწრაფებით მჭიდროდ დავუკავშირეთ ინტერნაციონალური აღზრდის ამოცანები ჩვენს ბრძოლას ადამიანისათვის, მისი ზნეობრივი სრულყოფისათვის, ბრძოლას პარტიული, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ცხოვრების ლენინური ნორმების საუკეთესოდ დამკვიდრებისათვის. ეს კი, ბუნებრივია, ჩვენი თათბირ-სემინარის მუშაობის კონკრეტულ თავისებურებებს ანიჭებს, მის წინაშე კონკრეტულ ამოცანებს აყენებს.

რა ამოცანებია ესენი?

ჯერ ერთი, მშრომელთა ინტერნაციონალური აღზრდის ყველა საკითხი, ყველა პრობლემა უნდა განვიხილოთ „საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის მე-60 წლისთავის შესახებ" სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების კონკრეტული, ხაზს ვუსვამ, კონკრეტული მოთხოვნების შესაბამისად, ამ დადგენილებაში ჩამოყალიბებული დებულებების და დასკვნების მიხედვით. აქ, უწინარეს ყოვლისა, საქმე ეხება იმას, რომ იდეოლოგიური, პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის ყველა საშუალების, ფორმისა და მეთოდის მეშვეობით ფართოდ, დამაჯერებლად გავუწიოთ პროპაგანდა და განვმარტოთ ქვეყნის ყველა ერისა და ეროვნების წარმატებანი, ავსახოთ ყოველივე ეს როგორც ნაყოფი, ისტორიული შედეგი იმისა, რომ პარტია ლენინის ანდერძის სულისკვეთებით თანამიმდევრულად წყვეტს ეროვნულ საკითხს. ამ მუშაობას შემტევი, აქტიური ხასიათი უნდა მივანიჭოთ, მან არ უნდა დატოვოს არც ერთი გადაუწყვეტელი საკითხი, არ უნდა დატოვოს ნიადაგი რაიმე მონაჩმახისათვის, რომელიც ჩირქს მოსცხებდა ლენინური ეროვნული პოლიტიკის ისტორიულ მონაპოვრებს.

მეორე, საჭიროა განსაკუთრებული ყურადღება დავუთმოთ ადამიანთა ერთობლივი შრომითი საქმიანობის პროცესში მათი ინტერნაციონალისტური მსოფლმხედველობის ჩამოყალიბების საკითხს. უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ ჩვენი საზოგადოების თითოეულ წევრს ღრმად ჰქონდეს შეგნებული: შრომა მარტო ეკონომიკური კი არა, ზნეობრივი კატეგორიაც არის, თანაც არა უბრალოდ შრომა, არა ყოველგვარი საქმიანობა, არამედ მაღალეფექტიანი, შეგნებული, შემოქმედებითი შრომა, რამეთუ მხოლოდ ასეთი შრომა ხდება საბჭოთა ადამიანის ინტერნაციონალიზმის კონკრეტული გამოვლენა, ინტერნაციონალური მოვალეობისადმი მისი ერთგულების კრიტერიუმი.

მესამე, უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში ჩამოყალიბებული დებულების პარტიის სოციალური პოლიტიკის საერთო-სახალხო ხასიათის შესახებ, პოლიტიკისა, რომლის მიზანია ჩვენი ქვეყნის ყველა ერისა და ეროვნების კეთილდღეობის, განათლებისა და კულტურის დონის ამაღლება. ყველანი კარგად ვხედავთ, რაოდენ ბევრს იღვწის კომუნისტური პარტია ჩვენი დიდი ქვეყნის თითოეული ერისა და ეროვნების ცხოვრების დონის ასამაღლებლად, შრომის, ყოფის, დასვენების პირობების გასაუმჯობესებლად, სულიერი ცხოვრების გასამდიდრებლად. ყოველივე ეს ხდება რთულ, ზოგჯერ ფრიად მძიმე პირობებშიც, რაც საერთაშორისო ვითარების დაძაბულობით არის გამოწვეული, ხდება ბევრი ობიექტური სიძნელის ფონზე.

მთავარია, ყოველ ადამიანს კარგად ესმოდეს: პარტიამ იცის არსებული პრობლემები, ხედავს არსებულ ნაკლოვანებებს, ბოლშევიკური პირდაპირობით, პატიოსნად და გულახდილად ლაპარაკობს მათ შესახებ და ყოველ ღონეს ხმარობს ამ პრობლემების გადასაჭრელად. გამოვუმუშაოთ ასეთი ხედვა, ღრმა იდეური მრწამსი, პოლიტიკური მოწიფულობა ყოველ ადამიანს, ყოველი ერისა და ეროვნების წარმომადგენლებს — ესეც ინტერნაციონალური აღზრდის აქტუალური ამოცანაა.

მეოთხე, საჭიროა ფართოდ გამოვიყენოთ სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის, საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის, ავტონომიური ერთეულების კონსტიტუციათა განხილვის დროს შეძენილი გამოცდილება და ნათლად განვმარტოთ ინტერნაციონალისტური არსი სოციალისტური დემოკრატიისა, რომელიც დღეს ვლინდება საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში — სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებში ყველა ერისა და ეროვნების ფართო წარმომადგენლობაში, საკადრო პოლიტიკის განხორციელებაში, საბჭოთა საზოგადოების წინაშე მდგომი ყველა ეკონომიკური, სოციალური, კულტურული პრობლემის გადაჭრის დემოკრატიულ საერთო-ეროვნულ პრინციპებში.

მთელ ამ მუშაობას, როგორც იტყვიან, ყველა ხედავს, იგი ყველამ იცის და მას ფართოდ ეწევა პროპაგანდა. მაგრამ ეს როდი ნიშნავს, რომ აქ არ გვჭირდება იდეოლოგიური ზემოქმედება. პირიქით, ჩვენ მოწმენი ვართ ახლებური საზოგადოებრივი ურთიერთობის ისეთი სწრაფი განვითარებისა, რომელიც მოითხოვს ამ ურთიერთობის პროგრესული არსის სწორედ ღრმამეცნიერულ იდეოლოგიურ გააზრებას და შემდეგ — მის გაცნობას მშრომელთა ფართო მასებისათვის.

და კიდევ ერთი საკითხი. ახლანდელი თათბირ-სემინარი კიდევ ერთი ღირსსახსოვარი მოვლენის — გეორგიევსკის ტრაქტატის — რუსი და ქართველი ხალხების მეგობრობისა და ძმობის პირველი მანიფესტის ხელმოწერის მე-200 წლისთავის საზეიმოდ აღნიშვნის დიდმნიშვნელოვანი ეტაპი უნდა გახდეს. ამ დოკუმენტის ისტორიული როლის, რუსეთთან საქართველოს დამეგობრების საარსებო მნიშვნელობის ღრმა გააზრებამ, ფართო პროპაგანდამ ხელი უნდა უწყობდეს ინტერნაციონალური აღზრდის ახალი, კიდევ უფრო ქმედითი ფორმების ძიებას და დანერგვას, ერების ურთიერთობის შემდგომ სრულყოფას.

ახლა, როცა სსრ კავშირის შექმნის მე-60 წლისთავისათვის ვემზადებით და ფართოდ ვაპირებთ გეორგიევსკის ტრაქტატის მე-200 წლისთავის საზეიმოდ აღნიშვნას, იდეოლოგიურ, მასობრივ-პოლიტიკურ მუშაობაში, ჩვენ წინა პლანზე უნდა დავაყენოთ საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია დიდი რუსი ხალხის, ამ ხალხის დიდი შემოქმედებითი როლის განმარტებასთან, ერთი მხრივ, ჩვენი ქვეყნის ყველა ერისა და ეროვნების რომ ერთიანდებიან შეკრულ, ერთსულოვან, მონოლითურ ოჯახად და, მეორე მხრივ, ყველა ობიექტური პირობის რომ უქმნის ყველა ერისა და ეროვნების სრულ აყვავებას, თავისუფალ განვითარებას, რაც თითოეული ხალხის შინაარსით სოციალისტური და ფორმით ეროვნული კულტურების ჩამოყალიბების, სსრ კავშირის კონსტიტუციის ფარგლებში ყოველი ეროვნული რესპუბლიკის სახელმწიფოებრიობის დაწინაურების უმნიშვნელოვანესი ფაქტორია.

ნება მიბოძეთ გამოვთქვა რწმენა, რომ მეორე თათბირ-სემინარის ყველა მონაწილე აქტიურად, შემოქმედებითად, ღრმა დაინტერესებით მიუდგება ყველა ამ აქტუალური პრობლემის განხილვას და თავის კონკრეტულ წვლილს შეიტანს რესპუბლიკის მშრომელთა ინტერნაციონალური აღზრდის შემდგომ სრულყოფაში, ჩვენი დიდი, მძლავრი, ურღვევი, მრავალეროვანი საბჭოთა სახელმწიფოს სახელოვანი მე-60 წლისთავის საყოველთაო-სახალხო ზეიმისათვის.

წარმატებას გისურვებთ მუშაობაში, ამხანაგებო!

იდეოლოგიურ მუშაკთა რესპუბლიკური თათბირ-სემინარი

„საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის მე-60 წლისთავის შესახებ" სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების მოთხოვნების მიხედვით მშრომელთა ინტერნაციონალური აღზრდის შემდგომი გაუმჯობესების საკითხებს განიხილავს იდეოლოგიურ მუშაკთა რესპუბლიკური თათბირ-სემინარი, რომელმაც 23 ივნისს დაიწყო მუშაობა თბილისში, საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში. თათბირ-სემინარში მონაწილეობენ პარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტების იდეოლოგიის დარგის მდივნები, პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილებათა გამგეები, რესპუბლიკური, საოლქო, საქალაქო, რაიონული გაზეთებისა და ჟურნალების, სახტელერადიოს, საქინფორმის, გამსახკომის, რესპუბლიკური სამინისტროების, უწყებების, იდეოლოგიური, სამეცნიერო დაწესებულებების, უმაღლესი სასწავლებლების, შემოქმედებითი კავშირების ხელმძღვანელები, კომკავშირის საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტების პირველი მდივნები, პროფკავშირული მუშაკები, ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო და სასაზღვრო ოლქების პოლიტმუშაკები.

პრეზიდიუმში არიან ამხანაგები ე. ა. შევარდნაძე, პ. გ. გილაშვილი, გ. ნ. ენუქიძე, ა. ნ. ინაური, გ. ვ. კოლბინი, თ. ნ. მენთეშაშვილი, ტ. ვ. როსტიაშვილი, ო. ე. ჩერქეზია, ზ. ა. ჩხეიძე, ს. ე. ხაბეიშვილი, ი. ნ. ორჯონიკიძე, სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტორის გამგე ვ. ა. კონდრატიევი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პასუხისმგებელი მუშაკები ა. ა. გრიშკევიჩი, ე. ი. კამაშევი, ა. ა. საზონოვი, ა. ი. სელეზნიოვი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის განყოფილებათა გამგეები ა. პ. საყვარელიძე, ქ. ქ. შარტავა, ნ. შ. ჯანბერიძე.

თათბირ-სემინარი შესავალი სიტყვით გახსნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ე. ა. შევარდნაძემ. (ამხ. შევარდნაძის გამოსვლა ქვეყნდება გაზეთის დღევანდელ ნომერში).

მოხსენება „სსრ კავშირის შექმნის მე-60 წლისთავისათვის მზადება მშრომელთა ინტერნაციონალური აღზრდის შემდგომი სრულყოფის, ჩვენი ქვეყნის ხალხთა მეგობრობისა და თანამშრომლობის განმტკიცების უმნიშვნელოვანესი ეტაპია" გააკეთა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა გ. ნ. ენუქიძემ.

სსრ კავშირის შექმნის მე-60 წლისთავისათვის მზადების პერიოდში მშრომელთა ინტერნაციონალური აღზრდისათვის ქალაქ თბილისის პარტიული ორგანიზაციების მუშაობის გამოცდილება დამსწრეთ გაუზიარა საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანმა ნ. ვ. გურგენიძემ. საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მდივანმა რ. მ. ბუთბამ ილაპარაკა იმაზე, თუ რა მუშაობას ეწევიან მშრომელთა ინტერნაციონალურ აღზრდაში პარტიულ ორგანიზაციათა როლის ასამაღლებლად. სსრ კავშირის ხალხთა ინტერნაციონალიზმი, მეგობრობა და ძმობა საბჭოთა შეიარაღებული ძალების ძლიერების წყაროა — ასეთი იყო თემა ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის სამხედრო საბჭოს წევრის, პოლიტსამმართველოს უფროსის

(დასასრული მე-2 გვ.).

მეგობრულ ვითარებაში

22 ივნისს მოსკოვში ხელი მოაწერეს საბჭოთა კავშირ-ბულგარეთის ერთობლივ დოკუმენტებს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ა. ტიხონოვმა და ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ გ. ფილიპოვმა ხელი მოაწერეს სსრ კავშირის მთავრობისა და ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის შეთანხმებას ორი ქვეყნის მანქანათმშენებლობის შესაბამის საწარმოებს შორის საწარმოო თანამშრომლობის ორგანიზაციის შესახებ.

ხელმოწერილია აგრეთვე სსრ კავშირისა და ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობათა შეთანხმება ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის კონტინენტურ შელფზე ნავთობისა და გაზის საძიებო სამუშაოების მოწყობაში თანამშრომლობის შესახებ. (საქინფორმი).

გ. ფილიპოვი სამშობლოში გაემგზავრა

23 ივნისს მოსკოვიდან სამშობლოში გაემგზავრა ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე გ. ფილიპოვი, რომელიც საბჭოთა კავშირში ოფიციალურ მეგობრულ ვიზიტად იყო საბჭოთა მთავრობის მოწვევით.

აეროდრომზე სტუმარი გააცილეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ა. ტიხონოვმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ი. ვ. ანდროპოვმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა მ. ს. გორბაჩოვმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა კ. ვ. რუსაკოვმა და სხვა ოფიციალურმა პირებმა. (საქინფორმი).

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

„სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის შესახებ" და „საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს შესახებ" საქართველოს სსრ კანონებში სოფლის მეურნეობისა და აგროსამრეწველო კომპლექსის სხვა დარგების ხელმძღვანელობის საქმეში სახალხო დეპუტატთა საბჭოების უფლება-მოსილებათა საკითხებზე ცვლილებების შეტანის თაობაზე

„სოფლის მეურნეობისა და აგროსამრეწველო კომპლექსის სხვა დარგების ხელმძღვანელობის საქმეში სახალხო დეპუტატთა საბჭოების უფლება-მოსილებათა შესახებ სსრ კავშირის საკანონმდებლო აქტებში ცვლილებების შეტანის თაობაზე „სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1982 წლის 31 მაისის ბრძანებულების შესაბამისად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

1. დაწესდეს, რომ სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭო და საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოები ქმნიან აგროსამრეწველო გაერთიანებათა საოლქო და რაიონულ საბჭოებს.

2. აგროსამრეწველო გაერთიანებათა საბჭოებს ქმნიან სახალხო დეპუტატთა საბჭოების სესიებზე მათი აღმასრულებელი კომიტეტების წარდგინებით და ისინი ექვემდებარებიან როგორც სახალხო დეპუტატთა საბჭოებს და მათ აღმასრულებელ კომიტეტებს, ასევე შესაბამის სახელმწიფო მმართველობის ზემდგომ ორგანოებს.

3. ამ ბრძანებულების პირველ და მეორე მუხლებთან დაკავშირებით შეტანილ იქნეს ცვლილებანი და დამატებანი საქართველოს სსრ შემდეგ საკანონმდებლო აქტებში:

1) „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის შესახებ" საქართველოს სსრ 1980 წლის 12 ნოემბრის კანონში (1980 წლის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებების № 11-ის დანართი):

22-ე მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1) ხელმძღვანელობს სოფლის მეურნეობას და აგროსამრეწველო კომპლექსის სხვა დარგებს, ახორციელებს ღონისძიებებს მისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცების, სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების ზრდისა და ხარისხის ამაღლების, სოფლის მცხოვრებთა საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის";

22-ე მუხლი შეივსოს შემდეგი შინაარსის 1_1 და 1_2 პუნქტებით:

„1_1) ქმნის საოლქო აგროსამრეწველო გაერთიანების საბჭოს და ცვლის მის შემადგენლობას;

1_2) განიხილავს ოლქის აგროსამრეწველო კომპლექსში შემავალი საწარმოებისა და ორგანიზაციების განვითარების გეგმის ძირითად მაჩვენებლებს";

42-ე მუხლი შეივსოს შემდეგი შინაარსის 5_1 პუნქტით:

„5_1) საოლქო აგროსამრეწველო გაერთიანების საბჭოს შექმნა და მისი შემადგენლობის შეცვლა".

2) „საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს შესახებ" საქართველოს სსრ 1971 წლის 9 დეკემბრის კანონში 1979 წლის 11 დეკემბრის რედაქციით (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1979 წ., № 13, მუხ. 364):

მე-14 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1) ხელმძღვანელობს სოფლის მეურნეობას და აგროსამრეწველო კომპლექსის სხვა დარგებს, იღებს ზომებს მისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებისათვის; კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებს და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებს უმტკიცებს სახელმწიფო შესყიდვის სავეგმო დავალებებს; განიხილავს კოლმეურნეობათა წლიურ ანგარიშებს";

მე-14 მუხლი შეივსოს შემდეგი შინაარსის 1_1 პუნქტით:

„1_1) ქმნის რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანების საბჭოს და ცვლის მის შემადგენლობას";

მე-14 მუხლის მე-12 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„12) იღებს ზომებს საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების დამხმარე მეურნეობებში, აგრეთვე კოლმეურნეთა, მოსამსახურეთა და სხვა მოქალაქეთა პირად დამხმარე მეურნეობებში სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების გადიდებისათვის, კოლექტიური მებაღეობისა და მებოსტნეობის შემდგომი განვითარებისათვის";

36-ე მუხლი შეივსოს შემდეგი შინაარსის 5_1 პუნქტით:

„5_1) რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანების საბჭოს შექმნა და მისი შემადგენლობის შეცვლა".

4. აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმებმა შეუსაბამონ ავტონომიური რესპუბლიკების კანონმდებლობა ამ ბრძანებულებას.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1982 წლის 23 ივნისი.

საუბარი საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

23 ივნისს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ე. ა. შევარდნაძემ მიიღო პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის თეორიულ-პოლიტიკური ორგანოს „ნოვე დროგის" მთავარი რედაქტორი, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს წევრი, პოლონეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების მთავარი გამგეობის თავმჯდომარე სტანისლავ ვრონსკი, რომელიც საბჭოთა კავშირში იმყოფება, და ესაუბრა მას.

საუბრის დროს ამხანაგმა ს. ვრონსკიმ ამხანაგ ე. ა. შევარდნაძეს გააცნო პოლონეთში არსებული მდგომარეობა, მუშაობა, რომელსაც ქვეყნის პარტიული ორგანიზაციები ეწევიან გარკვეულ სიძნელეთა დაძლევისათვის, ილაპარაკა პოლონეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების დიდსა და ნაყოფიერ საქმიანობაზე.

ამხანაგმა ე. ა. შევარდნაძემ სტუმარს გააცნო საქართველოს მშრომელთა წარმატებანი სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ყველა დარგში, მუშაობა, რომელსაც რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაცია ეწევა სკკპ XXVI ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის.

საუბრის დროს, რომელმაც გულთბილ, მეგობრულ ატმოსფეროში ჩაიარა, შეეხნენ საბჭოთა კავშირ-პოლონეთის ურთიერთობის, ჩვენი ქვეყნების ეკონომიკური და კულტურული თანამშრომლობის საკითხებს.

საუბარში მონაწილეობდნენ ჟურნალ „ნოვე დროგის" რედაქტორი ვ. ივანიცკი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის ჟურნალ „კომუნისტის" მთავარი რედაქტორის მოადგილე ლ. კ. ნაუმენკო, რომლებიც თან ახლავან ს. ვრონსკის, აგრეთვე გაზეთ „ზარია ვოსტოკას" რედაქტორი ნ. გ. ჩერქეზიშვილი. (საქინფორმი).

იდეოლოგიურ მუშაკთა რესპუბლიკური თათბირ-სემინარი

(დასასრული)

გენერალ-ლეიტენანტ ა. ი. შირინკინის გამოსვლისა.

მშრომელთა ინტერნაციონალურ აღზრდაში მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის ახალი ფორმების გამოყენების გამოცდილების შესახებ ილაპარაკა საქართველოს კომპარტიის ბათუმის საქალაქო კომიტეტის მდივანმა ნ. მ. დუმბაძემ. თვალსაჩინო პოლიტიკური აგიტაციის საშუალებებით ხალხთა მეგობრობისა და ძმობის სულისკვეთებით მშრომელთა აღზრდას მიუძღვნა გამოსვლა საქართველოს კომპარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის მდივანმა ა. გ. პარასტაევმა. საქართველოს კომპარტიის რუსთავის საქალაქო კომიტეტის მდივანმა ს. პ. ამარიძემ ილაპარაკა მაღალი საბოლოო შედეგების მისაღწევად შრომითი კოლექტივების ინტერნაციონალური შეკავშირებისათვის მუშაობის გამოცდილებების შესახებ. მოსწავლეთათვის პატრიოტ-ინტერნაციონალისტთა თვისებების ჩამოყალიბება ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის ორგანული ნაწილია — ასეთი იყო საქართველოს სსრ განათლების მინისტრის ო. დ. ქინქლაძის გამოსვლის თემა.

სამართალდარღვევების პროფილაქტიკის საქმეში აღმზრდელობითი მუშაობის ეფექტიანობის ამაღლების გზების შესახებ ილაპარაკა საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრმა გ. ი. გვეტაძემ.

მშრომელთა და ახალგაზრდათა შორის იდეოლოგიური, პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის სხვადასხვა ასპექტზე ილაპარაკეს საქართველოს კომპარტიის თბილისის გლდანის რაიკომის მდივანმა ვ. ვ. კულიკოვამ, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის სექტორის გამგემ, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა ა. ი. რობაქიძემ.

* * *

პლენარული სხდომის შემდეგ თათბირ-სემინარის მონაწილენი ჯგუფებად დაიყვნენ და მუშაობა განაგრძეს ექვს სექციაში. საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებულ პარტიის ისტორიის ინსტიტუტში — სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ფილიალში, სადაც პირველი სექცია მუშაობდა, განიხილავდნენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ლენინური ეროვნული პოლიტიკის თეორიული საკითხების პროპაგანდისა და განმარტების აქტუალურ ამოცანებს. სსრ კავშირის ხალხთა თანამეგობრობის ისტორიის პროპაგანდის, როგორც ინტერნაციონალური აღზრდის ქმედითი საშუალების, საკითხები განიხილა სექციამ, რომელიც საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ხალხთა მეგობრობის მუზეუმში მუშაობდა. კომკავშირულ ქალაქ ბორის ძნელაძეში მოწყობილი სექციის მონაწილეებმა განიხილეს კომუნისტური მშენებლობის თანამედროვე ეტაპზე ახალგაზრდობის ინტერნაციონალური აღზრდის თავისებურებანი, საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე მუშაობდა სექცია თემაზე „მოძმე რესპუბლიკების მშრომელთა სოციალისტური შეჯიბრება როგორც სსრ კავშირის ხალხთა ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობის, მეგობრობისა და ძმობის განმტკიცებისა და განვითარების ეფექტიანი საშუალება". მრავალეროვან შრომით კოლექტივებში იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის ფორმები და მეთოდები განიხილეს სექციაში, რომლის მუშაობა მიმდინარეობდა თბილისის გ. დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხანაში. ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკურ სასახლეში გამართა სხდომა სექციამ, რომლის მონაწილეებმა განიხილეს მშრომელთა ინტერნაციონალური აღზრდის პრობლემათა გაშუქების საქმეში მასობრივი ინფორმაციისა და პროპაგანდის საშუალებათა ამოცანები.

* * *

იმავე დღეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში გაიმართა კონფერენცია-დიალოგი თემაზე „საბჭოთა საქართველოს კულტურის აყვავება პარტიის ლენინური ეროვნული პოლიტიკის განხორციელების შედეგია".

თათბირ-სემინარი მუშაობას განაგრძობს. (საქინფორმი).

კადრების სწავლება

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიული და საბჭოთა მუშაკების კვალიფიკაციის ამაღლების მუდმივმოქმედ კურსებზე დამთავრდა საქართველოს კომპარტიის საქალაქო და რაიონული კომიტეტების საორგანიზაციო განყოფილებათა ინსტრუქტორების სწავლება. სამი კვირის მანძილზე ისინი სწავლობდნენ კომუნისტური მშენებლობის მარქსისტულ-ლენინური თეორიისა და პრაქტიკის, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის საშინაო და საგარეო პოლიტიკის, რესპუბლიკური პარტიული ორგანიზაციის ორგანიზატორული და იდეოლოგიური მუშაობის აქტუალურ საკითხებს სკკპ XXVI ყრილობის და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის მაისის პლენუმის გადაწყვეტილებათა, სსრ კავშირის სასურსათო პროგრამისა და მისი რეალიზაციის ღონისძიებათა შესახებ ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენებაში ჩამოყალიბებული დებულებებისა და დასკვნების მიხედვით. მსმენელებს რესპუბლიკის პირველადი პარტიული ორგანიზაციების პარტიული, ორგანიზაციული, იდეოლოგიური და სამეურნეო საქმიანობის სხვადასხვა საკითხზე ესაუბრნენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ნ. ა. ჩითანავა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ადმინისტრაციული ორგანოების განყოფილების გამგე ნ. რ. საჯაია, საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიის ისტორიის ინსტიტუტის დირექტორი დ. გ. სტურუა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის განყოფილების გამგის მოადგილეები მ. მ. დანელია და ჯ. ა. ბერიძე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მრეწველობის განყოფილების გამგის მოადგილე ტ. ვ. ლორთქიფანიძე, საქართველოს პროფსაბჭოს მდივანი ლ. ს. ხარბედია, პარტიის თბილისის რაიკომების პირველი მდივნები.

მსმენელებმა მონაწილეობა მიიღეს საბაზო პარტიულ ორგანიზაციებში მოწყობილ პრაქტიკულ მეცადინეობებში, კერძოდ, საქართველოს კომპარტიის რუსთავის საქალაქო კომიტეტსა და სიღნაღის რაიკომში, რუსთავის მეტალურგიული ქარხნის, თბილისის სსრ კავშირის 50 წლის თავის სახელობის საწარმოო გაერთიანების პარტიულ კომიტეტებში.

* * *

საქართველოს კომპარტიის საქალაქო და რაიონული კომიტეტების საორგანიზაციო განყოფილებათა ინსტრუქტორების პარალელურად კვალიფიკაციის ამაღლების კურსები გაიარეს კავშირგაბმულობის სისტემის პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნებმა.

მათ მოისმინეს ლექციები და მოხსენებები საკითხებზე, რომლებიც ეხება პირველადი პარტიული ორგანიზაციების როლის ამაღლებას კავშირგაბმულობის საწარმოთა საქმიანობის სრულყოფაში, სახალხო მეურნეობის ეფექტიანობის ზრდაზე, მის ინტენსიფიკაციაზე, სოციალურ-ეკონომიკური, აღმზრდელობითი და იდეოლოგიური ამოცანების გადაწყვეტაზე, სკკპ XXVI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის გადაწყვეტილებების, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის მაისის პლენუმზე მიღებული სასურსათო პროგრამის წარმატებით შესრულებისათვის გაჩაღებული სოციალისტური შეჯიბრების განვითარებაზე მათი გავლენის გაძლიერებაში.

მსმენელებმა მონაწილეობა მიიღეს ორგანიზაციულ-პარტიული და იდეოლოგიური მუშაობის უმნიშვნელოვანესი საკითხების თაობაზე გამართულ სამინარებში, პრაქტიკულ მეცადინეობებში, ეწვივნენ საბაზო პარტიულ ორგანიზაციებს.

კურსების მსმენელებს ლექციები წაუკითხეს საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის მინისტრმა ვ. ი. კობახიძემ, საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრის მოადგილემ ა. მ. აბესაძემ, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგის მოადგილემ, პოლიტგანათლების რესპუბლიკური სახლის გამგემ დ. ა. კიკნაძემ, სხვა ხელმძღვანელმა პარტიულმა მუშაკებმა, მეცნიერებმა.

დასასრულ კურსების მსმენელების — საქართველოს კომპარტიის საქალაქო და რაიონული კომიტეტების საორგანიზაციო განყოფილებათა ინსტრუქტორების, აგრეთვე კავშირგაბმულობის სისტემის პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნების წინაშე გამოვიდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ზ. ა. ჩხეიძე. (საქინფორმი).

განვახორციელოთ სკკპ ცენტრალური კომიტეტის მაისის პლენუმის გადაწყვეტილებანი!

ეფექტიანობის გზით

საქართველოს კომპარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის პლენუმი

პარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის პლენუმს, რომელიც ამ დღეებში მოეწყო, თავიდან ბოლომდე გასდევდა ერთი სულისკვეთება — სრულიად და მთლიანად მოწონებულ იქნეს ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ ქვეყნის ეკონომიკის შემდგომი აღმავლობის და ხალხის მატერიალური ცხოვრების დონის ამაღლებისათვის დასახული პროგრამა. სულისკვეთებას თან ერთვოდა მზადყოფნა, რაც შეიძლება მეტი და საჩინო წვლილი შევიტანოთ ამ უდიდესი მნიშვნელობის პროგრამის სრულად განხორციელებაში.

პლენუმმა განიხილა სკკპ 1981 წლის მაისის პლენუმის შედეგები და ამ პლენუმზე ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მითითებებიდან და დასკვნებიდან გამომდინარე სამხრეთ ოსეთის კომუნისტთა ამოცანები.

მომხსენებელმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრობის კანდიდატმა, პარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ფ. სანაკოევმა აღნიშნა, რომ სამხრეთ ოსეთის მშრომელებმა, ახორციელებენ რა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1965 წლის მარტის პლენუმის მიერ შემუშავებული აგრარული პოლიტიკის კურსს, მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს. საკმარისია აღინიშნოს თუნდაც ის ფაქტი, რომ შრომის ენერგოაღჭურვილობა 30 პროცენტით, ფონდაღჭურვილობა — ერთიორად, მინერალური სასუქების მიწოდება — 1,9-ჯერ გაიზარდა, სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის ოლქში ბოლო ათი წლის მანძილზე 23,8 მილიონი მანეთი იყო გამოყოფილი, განმტკიცდა მისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და სხვ.

ითქვა ისიც, რომ ოლქის სოფლის მეურნეობის პრაქტიკაში უფრო და უფრო ფართოდ ინერგება მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევები, მოწინავეთა გამოცდილება, შრომის ორგანიზაციის და ანაზღაურების ახალი პროგრესული ფორმები და მეთოდები. განვითარდა წარმოების სპეციალიზაცია და კონცენტრაცია. მოიყვანეს მაგალითები: აშენდა და საექსპლოატაციოდ გადაეცა ცხინვალის მეფრინველეობის ფაბრიკა, კოხათის საქონლის სასუქებელი კომპლექსი, ნედლათის სარძევე კომპლექსი, უახლოეს დღეებში საექსპლოატაციოდ გადაეცემა ზონკარის წყალსაცავი — მდინარე პატარა ლიახვზე, აგრეთვე მრავალი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ობიექტი. შეიქმნა სარძეო-სახორცე მიმართულების სპეციალიზებული მეურნეობები, მეთესლეობისა და მეხილეობის საბჭოთა მეურნეობები. ყოველივე ეს, რა თქმა უნდა, მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების ზრდას.

პლენუმზე გამოსულმა ორატორებმა შეაფასეს ოლქის მშრომელთა მიერ მიღწეული წარმატებები და დასახეს სოფლის მეურნეობის ეფექტიანობის ამაღლების გზები.

მთავარი რეზერვების სრულად ამოქმედება, — აღინიშნა პლენუმზე, — ყურადღება გამახვილდა აგრეთვე სარწყავი წყლის რაციონალურად გამოყენებაზე, მინდვრების ჰექტარობრივი მოსავლიანობის გადიდებაზე, ბუნებრივი სათიბ-საძოვრების გაუმჯობესებაზე და მრავალ სხვა პრობლემაზე. ორატორებმა კონკრეტული ციფრებით უჩვენეს, თუ რამდენად მნიშვნელოვანია საკვების დამზადებისას მცირე ტექნიკის მაქსიმალურად გამოყენება. მეცხოველეობის ფერმებში შრომატევადი სამუშაოების შემცირება და სხვ.

პლენუმზე საქმიანი სჯა-ბაასი გაიმართა სასოფლო-სამეურნეო წარმოების საშუალო რგოლის სპეციალისტთა კადრებით უზრუნველყოფის, მათი როლის გაძლიერების შესახებ საბოლოო ამოცანების წარმატებით განხორციელებაში, ყურადღება დაეთმო მეთესლეობის შემდგომი განვითარების, პირუტყვის ჯიშობრივი შემადგენლობის გაუმჯობესების პრობლემებს. ამასთან აღნიშნეს, თუ რა საშუალებებით უნდა აღმოფხვრან ნაკლოვანებანი. ხაზგასმით ითქვა, რომ ყველა ზემოთ ჩამოთვლილი საკითხი სოფლის პარტიული, საბჭოთა, საზოგადოებრივი ორგანიზაციების, მეურნეობათა ხელმძღვანელების გადაუდებელ საქმედ უნდა იქცეს. თითოეული ჩვენგანის უპირველეს ამოცანად ახლა სკკპ 1981 წლის მაისის პლენუმის და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეშვიდე პლენუმის გადაწყვეტილებების რეალიზაცია უნდა გახდეს.

პლენუმმა მიიღო სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის 1982-1985 წლებისა და 1990 წლამდე პერიოდის სასურსათო პროგრამა.

პლენუმის მონაწილეებმა გამოთქვეს რწმენა, რომ სამხრეთ ოსეთის კომუნისტები, ყველა მშრომელი, რომლებიც ამ დღეებში აღნიშნავენ სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის შექმნის მე-60 წლისთავს და რომლებიც ემზადებიან ღირსეულად შეხვდნენ საბჭოთა სახელმწიფოს შექმნის მე-60 წლისთავს, შეეცდებიან რაც შეიძლება მეტი წვლილი შეიტანონ ჩვენი ქვეყნის სასურსათო პროგრამის სრულყოფილ რეალიზაციაში.

გ. გვიშიანი.

ახალი, გადიდებული სოციალისტური ვალდებულებები იკისრეს საგარეჯოს რაიონის სოფელ კრასნოგორსკის მეცხოველეებმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მაისის პლენუმის გადაწყვეტილებათა პასუხად.

მაღალი მიჯნები დაგვისახა სსრ კავშირის 1990 წლამდე პერიოდის სასურსათო პროგრამამ. ჩვენმა რესპუბლიკამ მეთერთმეტე ხუთწლედში უნდა უზრუნველყოს ხორცის საშუალო წლიური წარმოება (ნაკლავის წონა) 160 ათასი ტონა, რძისა — 710 ათასი ტონა. რესპუბლიკის ყულაბაში თავიანთი წვლილი შეაქვთ კრასნოგორსკელ მეცხოველეებსაც, რომლებმაც გაშალეს შეჯიბრება სსრ კავშირის შექმნის მე-60 წლისთავის აღსანიშნავად.

სურათზე: სოფელ კრასნოგორსკის კოლმეურნეობის მწველავები მარიამ გრიციშინა, გალინა კაპლენკო, ლუდმილა ხაიაპინა და ოლღა სამოდუროვა.

ი. დავითაშვილისა და მ. დათიკაშვილის ფოტო. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ა. ა. გრომიკო მოსკოვს დაბრუნდა

28 ივნისს ნიუ-იორკიდან მოსკოვს დაბრუნდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო, რომელიც მეთაურობდა სსრ კავშირის დელეგაციას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის განიარაღებისადმი მიძღვნილ მეორე სპეციალურ სესიაზე.

აეროდრომზე მას დახვდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი დ. თ. უსტინოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ბ. ნ. პონომარიოვი, სხვა ოფიციალური პირნი. (საკდესი).

ახალი ამბები ორბიტიდან

ფრენის მართვის ცენტრი, 22 ივნისი. (საკდესი). ანატოლი ბერეზოვოი და ვალენტინ ლებედევი 41-ე დღეა განაგრძობენ ორბიტულ ფრენას. კოსმონავტები ამთავრებენ მზადებას საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის ეკიპაჟის შემადგენლობით კვლევისათვის. განვლილ დღეებში მათ მთლიანად შეასრულეს სამეცნიერო აპარატურის ფუნქციონირების შემოწმების დაგეგმილი ოპერაციები, განახორციელეს მთელი რიგი რეგლამენტური პროფილაქტიკური ღონისძიებანი, დაამონტაჟეს და ელექტროქსელში ჩართეს საბორტო მაცივარი.

დღეს კოსმონავტები სადგურის სამუშაო ადგილებს ამზადებენ ერთობლივი საქმიანობისათვის, ითვალისწინებენ საჭირო მასალების არსებობას, კონტროლს უწევენ ცალკეული აგრეგატების და საბორტო სისტემების მუშაობას, გათვალისწინებულია აგრეთვე ტექნიკური ექსპერიმენტების კომპლექსის დინამიკური მახასიათებლების განსასაზღვრავად, ფიზიკური ვარჯიში.

ლენინური და სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიების კომიტეტისაგან

საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიების კომიტეტისაგან

...წლის 1 ივლისამდე.

კანდიდატურათა წარმოდგენის უკანასკნელი ვადაა 1982 წლის 1 ოქტომბერი.

ცნობებისათვის მიმართეთ: ... სამართი: 380018, თბილისი, რუსთაველის პროსპ. № 8, ტელ. 93-76-04.

ალმშენებლობის ენერგია

სკკპ XXVI ყრილობაზე მიღებულმა გადაწყვეტილებებმა მძლავრი იმპულსი მისცა საბჭოთა ხალხის შემოქმედებითს, აღმშენებლობით მუშაობას. პარტიის კურსი, რომელიც ითვალისწინებს ადამიანთა კეთილდღეობისა და კულტურის დონის შემდგომ ამაღლებას, სოციალისტური ცხოვრების წესის მატერიალური და სულიერი საფუძვლების განმტკიცებას, მშვიდობის, კომუნისტური მშენებლობის ხელშემწყობი საგარეო-პოლიტიკური პირობების უზრუნველყოფას, ამრავლებს მშრომელთა ენერგიას, ხელს უწყობს მათი სოციალური აქტიურობის, შეგნებისა და ორგანიზებულობის ზრდას. სულ უფრო მტკიცდება საბჭოთა ხალხის ერთიანობა, მისი შეკავშირება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის გარშემო.

მეთერთმეტე ხუთწლედის პირველ წელს ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულების შედეგები, პარტიისა და ხალხის გამოცდილების განზოგადება, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს საშინაო და საგარეო პოლიტიკის ახალი მომწიფებული პრობლემები — ასეთი შინაარსი აქვს კრებულის — „სკკპ XXVI ყრილობა: თეორიისა და პრაქტიკის ერთიანობა"* — მეორე გამოშვებას, რომელშიც შევიდა ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევისა და პარტიისა და მთავრობის სხვა ხელმძღვანელების 1981 წლის მეორე ნახევრის სტატიები, მოხსენებები, სიტყვები და გამოსვლები.

კრებულში შესული ბევრი ნამუშევრის ყურადღების ცენტრშია თანამედროვე მსოფლიო ვითარება, რომლის განვითარებაზე ასე ბევრი რამ არის დამოკიდებული ქვეყნისა და ხალხის ცხოვრებაში, სკკპ მშვიდობისმოყვარული და კონსტრუქციული საგარეო პოლიტიკის საკითხები. 70-იანი წლების დამლევსა და 80-იანი წლების დამდეგისათვის საერთაშორისო ვითარება მკვეთრად გაუარესდა. ყველაზე აგრესიულმა იმპერიალისტურმა წრეებმა დაიწყეს შეტევა დაძაბულობის შენელების წინააღმდეგ, ამასთან არნახული მასშტაბით გააჩაღეს გამალებული შეიარაღება და ცდილობენ „ძალის პოზიციიდან" აიღონ ისტორიული რევანში. უაღრესად აქტუალურად გაისმის ახლა ვ. ი. ლენინის სიტყვები, რომ პოლიტიკური რეაქცია მთელი ხაზით —იმპერიალიზმის თვისებაა" (თხზ. ტ. 23. გვ. 132).

საბჭოთა კავშირმა არავის მისცა ნება დაეშინებინა იგი, პროვოკაცია მოეწყო მისთვის, და მტკიცედ და განუხრელად ახორციელებს სკკპ XXVI ყრილობის მიერ მიღებულ 80-იანი წლების სამშვიდობო პროგრამას. სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის წიგნში შეტანილი თითქმის ყოველი გამოსვლა შეიცავს ახალ სამშვიდობო ინიციატივას, სახავს ურთიერთმისაღებ საფუძველზე საერთაშორისო ვითარების ძირეულ პრობლემათა გადაჭრის გზებს. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია, საბჭოთა სახელმწიფო თანამიმდევრულად ახორციელებენ მშვიდობისმოყვარულ საგარეო-პოლიტიკურ კურსს, ამასთან განამტკიცებენ სოციალისტური ქვეყნების ძმურ თანამეგობრობას, განავითარებენ თანამშრომლობას პლანეტის სხვა სახელმწიფოებთან, ცდილობენ შეაკავშირონ თანამედროვეობის ყველა პროგრესული და დემოკრატიული მოძრაობა მსოფლიო თერმობირთვული კატასტროფის თავიდან აცილებისათვის ბრძოლაში. სოციალიზმისა და მშვიდობის განუყრელი კავშირის, ჩვენი მშვიდობისმოყვარეობის ღრმა ისტორიული საწყისების, მშვიდობის, დედამიწის ყველა ადამიანის ბედნიერი მომავლის დამცველი სსრ კავშირის პოლიტიკის ჰუმანისტური არსის საკითხები გაშუქებულია აგრეთვე სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრების — სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივნის ვ. ვ. გრიშინის, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის ა. ა. გრომიკოს, სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრის დ. თ. უსტინოვის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატის, ცენტრალური კომიტეტის მდივნის ბ. ნ. პონომარიოვის ნაშრომებში.

კომუნისტური პარტიისა და ჩვენი საერთო სახალხო სახელმწიფოს საგარეო და საშინაო პოლიტიკის პრობლემები უაღრესად მჭიდროდ არის ურთიერთდაკავშირებული და ურთიერთგანპირობებული: მშვიდობის მოყვარული საგარეო პოლიტიკა უზრუნველყოფს ხელშემწყობ პირობებს საბჭოთა ხალხის მშვიდობიანი შრომისათვის, — თავის მხრივ ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებას, აქტიურ საგარეო პოლიტიკას საფუძვლად უდევს სოციალისტური ეკონომიკის წარმატებები, საბჭოთა ადამიანების სულ უფრო ეფექტიანი, მაღალნაყოფიერი შრომა. და ეს კავშირი ღრმად არის გაშუქებული კრებულის ფურცლებზე: თითოეულის შრომითს წვლილზე დამოკიდებულია არა მარტო საერთო სახალხო დოვლათის შემდგომი მატება, არა მარტო ჩვენი საზოგადოების ეკონომიკისა და კულტურის პროგრესის დაჩქარება, არამედ მთელი მსოფლიოს მშვიდობაც.

განვითარებული სოციალიზმის ეტაპზე საზოგადოება აწყდება ისტორიულად ახალი მასშტაბური და რთული პრობლემების დიდ ერთობლიობას. საარსებო აუცილებლობა ხდება სოციალისტური წარმოების ეფექტიანობისა და მთელი მუშაობის ხარისხის მტკიცე ამაღლება, ეს კი მოითხოვს ეკონომიკის გადაყვანას ინტენსიფიკაციის რელსებზე. სწორედ ეს პრობლემები იყო ძირითადი სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1981 წლის ნოემბრის პლენუმის მუშაობაში, ამ პლენუმზე ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მიერ წარმოთქმულ სიტყვაში. მთელი სიმტკიცით აღინიშნა, რომ საჭიროა პარტიის, სამეურნეო და საბჭოთა კადრების მეცადინეობა უმთავრესად მოვახმაროთ სამეურნეო მექანიზმის ქმედითობის გადიდების შესახებ გადაწყვეტილების შესრულებას, საზოგადოებრივი წარმოების ყველა დარგში მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა უკეთ გამოყენებას, დაგეგმვისა და მართვის სრულყოფას. პლენუმზე აღინიშნა, რომ „საკმარისად ენერგიულად არ ხდება სამეურნეო საქმიანობისა და ეკონომიკური აზროვნების სტილის, დაგეგმვის მეთოდების, მართვის სისტემის გარდაქმნა", და ხაზი გაესვა მომწიფებულ ამოცანათა გადაწყვეტისათვის კადრების პასუხისმგებლობის ამაღლების ამოცანას. პლენუმის მუშაობასა და გადაწყვეტილებებში დასახულია მთელი რიგი კომპლექსური მიზნობრივი პროგრამების, მათ შორის მიმდინარე წლის მაისში გამართულ სკკპ ცენტრალური კომიტეტის მორიგი პლენუმის მიერ მოწონებული სასურსათო პროგრამის შემუშავების ძირითადი მიმართულებანი.

სოციალისტური ეკონომიკის შემდგომი აღმავლობის, ინტენსიური განვითარების გზაზე მისი გადაყვანის, სოციალურ და კულტურულ ამოცანებთან მჭიდრო ერთიანობით სამეურნეო ამოცანების გადაწყვეტის, საზოგადოების ცხოვრებაში მეცნიერების როლის გაძლიერების, მოძმე სოციალისტურ ქვეყნებთან ურთიერთობის განმტკიცების პრობლემები განხილულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრების — სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნის ა. პ. კირილენკოს, ყაზახეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის დ. ა. კუნაევის, სკკპ ლენინგრადის საოლქო კომიტეტის პირველი მდივნის გ. ვ. რომანოვის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ა. ტიხონოვის, უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ვ. ვ. შჩერბიცკის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატების — აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის გ. ა. ალიევის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნის ვ. ი. დოლგიხის, რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მ. ს. სოლომენცევის სტატიებში.

კრებულის მასალებში დამაჯერებლადაა ნაჩვენები, რომ ჩვენი ქვეყნის განკარგულებაში არსებული მთელი რესურსების მომჭირნე, რაციონალური გამოყენება, განვითარებული სოციალიზმის უდიდეს შესაძლებლობათა ამოქმედება მარტო სახელმწიფო და სამეურნეო მართვის გაუმჯობესებასთან, ეკონომიკის პარტიული ხელმძღვანელობის დონის შემდგომ ამაღლებასთან როდია დაკავშირებული. იგი აგრეთვე დაკავშირებულია შემოქმედებითი აღმშენებლობის იმ ჭეშმარიტად ამოუწურავი რესურსების გამოვლენასა და ამოქმედებასთან, რომლებსაც შეიცავენ მშრომელთა მასები და გამოიხატება სოციალისტური შეჯიბრების გაქანებით, ცოდნითა და კულტურით გამდიდრებული თავისუფალი შრომის ძლიერებით, შრომითი კოლექტივების დაუშრეტელი ენერგიითა და ინიციატივით. საბჭოთა ხალხის შემოქმედებითი ენერგიის ზრდას, კომუნისტური აღმშენებლობის საერთო-სახალხო საქმის უკეთ ორგანიზებას ხელს უწყობენ საბჭოების მიზანმიმართული საქმიანობა, სოციალისტური დემოკრატიის გაფართოება და გაღრმავება, მთელი კულტურული და იდეურ-აღმზრდელობითი კომპლექსი, რომელიც ჩვენს საზოგადოებას აქვს. ამის შესახებ წერენ თავიანთ სტატიებში სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატები სსრ კავშირის კულტურის მინისტრი პ. ნ. დემიჩევი და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის პირველი მოადგილე ვ. ვ. კუზნეცოვი.

საყოველთაო-სახალხო აღმშენებლობის საქმის წარმატებისათვის, აღნიშნა სკკპ XXVI ყრილობამ, „გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ენერგიულ და კომპეტენტურ პარტიულ ხელმძღვანელობას. თუ თითოეული პარტიული ორგანიზაცია თავის უბანზე გამოიყენებს ყველა რეზერვს, დაამყარებს ჯეროვან წესრიგს ყველაფერში, მთელი ქვეყნის საქმეებიც წინ წაიწევს". შემთხვევითი როდია, რომ კრებულის ძირითად თემას შეადგენენ კომუნისტურ მშენებლობაში პარტიის ხელმძღვანელი როლის გაძლიერების, მუშაობის სტილის გაუმჯობესების, კადრების უკეთ მომზადების, განაწილებისა და აღზრდის საერთო საქმის წარმატებისათვის ყველა კომუნისტის პასუხისმგებლობის ამაღლების საკითხები, რომლებიც დაწვრილებითაა გაშუქებული სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, ცენტრალური კომიტეტის მდივნის კ. უ. ჩერნენკოს სტატიაში, წიგნის სხვა მასალებში.

პარტიის უდიდეს იდეურ-თეორიულ, ორგანიზატორულ და იდეურ-პოლიტიკურ მუშაობას სწორ ტონს აძლევენ მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტი და მისი პოლიტბიურო. „ამხანაგობის სულისკვეთება ხელმძღვანელ პარტიულ ბირთვში მაღალ პრინციპულობასთან, საქმიან მოთხოვნილობასთან შეხამებით, — აღნიშნავს ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი, — გვეხმარება ვიქონიოთ ჯანსაღი მორალურ-პოლიტიკური კლიმატი მთელ პარტიასა და ქვეყანაში, გვეხმარება უკეთ ვიცოდეთ და ვითვალისწინებდეთ მილიონობით საბჭოთა ადამიანის აზრს, მისწრაფებებსა და ინიციატივებს. ეს კი ნიშნავს — უფრო წარმატებით წარვმართავდეთ პარტიისა და მთელი ხალხის მეცადინეობას ქვეყნის განვითარების დიდი და რთული ამოცანების გადასაწყვეტად".

ასეთი კლიმატის დამკვიდრებაში ლ. ი. ბრეჟნევის თვალსაჩინო როლმა მოუპოვა მას ხალხის სიყვარული და პატივისცემა, და ამიტომ ღირსშესანიშნავი იდეურ-პოლიტიკური მოვლენა გახდა მისი დაბადების 75 წლის თავის დღესასწაულობა. მის მოღვაწეობას, თქვა იუბილეზე აწ განსვენებულმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, ცენტრალური კომიტეტის მდივანმა მ. ა. სუსლოვმა, ახასიათებს ორგანული კავშირი მშრომელ ხალხთან, მისწრაფება ემსახურებოდეს მუშათა კლასის, მთელი ხალხის ძირეულ ინტერესებს, ზრუნავდეს მშრომელი ადამიანების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისათვის. „ეს ერთ-ერთი მკაფიო ნიშანია ლეონიდ ილიას ძისა, როგორც ლენინური ტიპის ხელმძღვანელისა, რომელსაც შეუძლია ორგანულად შეუხამოს კომუნისტური იდეალების განხორციელება დღევანდელი პრაქტიკული ამოცანების გადაწყვეტას, სალად შეაფასოს ჩვენი დიდი მიღწევები, ხედავდეს სიძნელეებს, ნაკლოვანებებს და პოულობდეს მათი აღმოფხვრის გზებს". (გვ. 256).

განვითარებული სოციალისტური საზოგადოების პირობებში ლენინური პარტიის მუშაობის თავისებურებანი, ახალი, უფრო მაღალი მოთხოვნები ჩვენი პარტიის ყველა რგოლისადმი, ლენინური სტილის დამკვიდრება და სრულყოფა ყველა პარტიული კომიტეტისა და ორგანიზაციის საქმიანობაში, მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების კონტროლისა და შემოწმების განვითარება, ორგანიზატორული მუშაობისა და იდეოლოგიური, პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის სულ უფრო მჭიდრო ურთიერთკავშირი — ყველა ეს საკითხი ღრმად და დეტალურად, პარტიული ორგანიზაციების ცოცხალი გამოცდილების განზოგადების საფუძველზე განხილულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიული კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარის ა. ი. პელშეს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატის, უზბეკეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის შ. რ. რაშიდოვის სტატიებში, კრებულის სხვა მასალებში. მათში ნაჩვენებია, რომ დროის მოთხოვნა, ჩვენი საზოგადოების განვითარების ობიექტური კანონზომიერებაა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელი როლის შემდგომი ზრდა, მასებთან მისი კავშირის გაძლიერება, პარტიისა და ხალხის მტკიცე ერთიანობის — იმ ერთიანობის გაღრმავება, რომელიც შეადგენს ჩვენი ძალის მთავარ წყაროს, კომუნიზმისათვის ბრძოლაში ახალ წარმატებათა გარანტიას.

„პარტიის მთელი საქმიანობის კომპასი, — აღნიშნულია სარეცენზიო წიგნის ფურცლებზე, — იყო და კვლავ არის მარქსიზმ-ლენინიზმი. ახალი ამოცანები, რომლებიც წარმოიშობოდა და წარმოიშობა განვითარების პერიოდში, კვლავ მოითხოვს ჩვენგან ახალ პასუხებსა და ახალ გადაწყვეტებს. და ამ პასუხებისა და გადაწყვეტების ძიებაში გვეხმარება ლენინური მეთოდოლოგია, ლენინური რევოლუციური მოძღვრება" (გვ. 62). კრებულის მასალები კარგ წარმოდგენას გვაძლევს ამ ნაყოფიერი ძიების მიმდინარეობისა და მიმართულების შესახებ, ჩვენი დროის საზოგადოებრივ-ისტორიული პრაქტიკის ღრმა მეცნიერული გააზრების საფუძველზე მარქსიზმ-ლენინიზმის შემოქმედებითი დამუშავების შედეგების შესახებ.

„პრავდა", 23/VI.

* „სკკპ XXVI ყრილობა: თეორიისა და პრაქტიკის ერთიანობა". მე-2 გამოშვება, მ., პოლიტგამი, 1982, 512 გვ.

პროფესიათა გზაჯვარედინზე

ვაჟკაცების საქმე

საქართველოს მთა-ბარი მდიდარია სასარგებლო წიაღისეულით, რომლის მხოლოდ ნაწილია აღმოჩენილი და შესწავლილი, დანარჩენი კი თავის ახალ აღმომჩენებს ელის. მაგრამ გეოლოგია მარტო ძიება და აღმოჩენა როდია — ის მრავალპროფილიანი დარგია და სწორედ ამის შესახებ ესაუბრება დღევანდელ გაზეთში აბიტურიენტებს საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის გეოლოგიის ფაკულტეტის დეკანი.

გეოლოგის პროფესია ერთ-ერთ ყველაზე ვაჟკაცურ და რომანტიკულ პროფესიად არის აღიარებული. და, უნდა ითქვას, საქმებით სამართლიანად. სწორედ ამით უნდა აიხსნას ისიც, რომ ამდენი კარგი წიგნი, ფილმი და სიმღერა მიეძღვნა გეოლოგების ცხოვრებას.

საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში ინჟინერ-გეოლოგთა კადრების მომზადება სასწავლებლის დაარსების დღიდან დაიწყო. იმხანად, 1922 წელს, სამთო-ქიმიურ ფაკულტეტზე სამი გეოლოგიური კათედრა იყო: გეოლოგიისა და პალეონტოლოგიის, მინერალოგიისა და პეტროგრაფიის, გამოყენებითი გეოლოგიის.

დღემდე საქართველოს პოლიტექნიკურმა ინსტიტუტმა 2800-მდე ინჟინერ-გეოლოგი მოამზადა. მათ შორის ბევრი ცნობილი მეცნიერი, წარმოების ხელმძღვანელი, სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეა. 8 მათგანი სსრ კავშირისა და საქართველოს სახელმწიფო პრემიების ლაურეატია, ხოლო ერთს მინიჭებული აქვს სოციალისტური შრომის გმირის მაღალი წოდება.

ამჟამად ფაკულტეტის 5 კათედრაზე მოღვაწეობს 100-მდე მასწავლებელი, რომელთა შორის ერთი საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრია, ორი — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, ცამეტი — მეცნიერების დოქტორი და პროფესორი, ოცდაჩვიდმეტი — დოცენტი და მეცნიერების კანდიდატი.

კათედრებზე შექმნილია სტუდენტთა სამეცნიერო წრეები, რომელთა მუშაობას წარმართავს ფაკულტეტის სტუდენტთა სამეცნიერო საბჭო. სტუდენტთა სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა სასწავლო პროცესის განუყოფელ ნაწილად იქცა. ფაკულტეტის სტუდენტები აქტიურად მონაწილეობენ საინსტიტუტო რესპუბლიკურ, საკავშირო კონფერენციებსა და კონკურსებში. მათი მრავალი ნაშრომი არაერთგზის აღინიშნა რესპუბლიკური თუ საკავშირო დიპლომებითა და სიგელებით.

გეოლოგიის ფაკულტეტზე წარჩინებული სტუდენტებისათვის დაწესებულია ერთი ლენინის სახელობის სტიპენდია და 4 სტიპენდია აკადემიკოსების — ა. ჯანელიძის, ლ. დავითაშვილის, ქ. გაბუნიას და პ. გამყრელიძის სახელობისა.

დღეისათვის ჩვენი ფაკულტეტი ექვსი პროფილის სპეციალისტებს ამზადებს.

გეოლოგიის ფაკულტეტი უშვებს ინჟინერ-გეოლოგებს სასარგებლო წიაღისეული საბადოების გეოლოგიური აგეგმვის, ძებნისა და ძიების სპეციალობით. ისინი სამუშაოდ, ძირითადად, საქართველოს გეოლოგიურ ორგანიზაციებში იგზავნებიან: გეოლოგიურ სამმართველოში, მეცნიერებათა აკადემიის გეოლოგიის ინსტიტუტში, კავკასიის მინერალური ნედლეულის ინსტიტუტში, სხვადასხვა საპროექტო ორგანიზაციაში და აგრეთვე სამთამადნო მრეწველობის საწარმოებში.

სამუშაო მეტად მრავალფეროვანია. აღნიშნული სპეციალობის ინჟინერ-გეოლოგები წარმართავენ სხვადასხვა მასშტაბის გეოლოგიურ-აგეგმვითს, ძებნითს და ძიებითს სამუშაოებს, რომელთა მიზანია საბადოების გამოვლენა, მათი ყოველმხრივი შესწავლა და საექსპლოატაციოდ მომზადება.

გეოლოგიური აგეგმვის, ძებნისა და ძიების სპეციალობის სტუდენტთა სწავლებას ემსახურება, ძირითადად, გეოლოგიის ფაკულტეტის მაღალი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტებით დაკომპლექტებული კათედრები, რომელთაც თანამედროვე დონეზე აღჭურვილი ლაბორატორიები და მუზეუმები აქვთ.

ჰიდროგეოლოგია და საინჟინრო გეოლოგია. ფართო და მრავალმხრივია საკითხთა ნუსხა, რომელთა გადაწყვეტა და განხორციელება დღევანდელ პირობებში წარმოუდგენელია ჰიდროგეოლოგიური და საინჟინრო გეოლოგიური კვლევის გარეშე. თუ ჰიდროგეოლოგია დედამიწის ქერქში მიწისქვეშა წყლების წარმოშობის, განვითარების, გავრცელების და მოძრაობის საკითხებს წყვეტს და მას ქანებთან მჭიდრო ურთიერთმოქმედებით იხილავს დედამიწის ქერქის განვითარების ისტორიული პროცესის ანალიზის საფუძველზე, საინჟინრო გეოლოგიისათვის სამუშაოების ჩატარების აუცილებელი პირობაა მშენებლობისათვის შერჩეული ტერიტორიის ვარგისიანობისა და ნაგებობის მდგრადობის უზრუნველყოფა. მისი კვლევის მთავარი ობიექტია ქანები, რომლებიც გვევლინება ნაგებობის საფუძვლად, გარემოდ ან სამშენებლო მასალად. ქანების სიმტკიცის და დეფორმაციის მაჩვენებლებთან უშუალო კავშირშია მშენებლობის და ტერიტორიების სამეურნეო ათვისების პრაქტიკული საკითხები. საინჟინრო გეოლოგია იკვლევს იმ გეოლოგიურ პროცესებსაც, რომლებიც ბუნებაში მიმდინარეობს ან წარმოიშობა ადამიანის საქმიანობის ზეგავლენით. ეს საშუალებას იძლევა შეფასდეს ნაგებობისა და გარემოს ურთიერთგავლენის ხასიათი, განისაზღვროს მშენებლობის პროცესში მოსალოდნელ გართულებათა რაოდენობრივი პროგნოზი და დაისახოს მათი თავიდან აცილების ღონისძიებანი. სამშენებლო ობიექტის ტერიტორიაზე წარმოებული გეოლოგიური სამუშაოები უზრუნველყოფს მშენებლობის რაციონალურად დაგეგმვას და წარმართვას, ამიტომ, ბუნებრივია, საინჟინრო-გეოლოგიური დასკვნა მშენებლობის პროექტის არსებითი შემადგენელი ნაწილია და ასაბუთებს მას.

ჰიდროგეოლოგები და ინჟინერ-გეოლოგები სჭირდება სახალხო მეურნეობის ისეთ მნიშვნელოვან დარგებსა და საქმეს, როგორიც არის წყალმომარაგება, ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა, ელექტროსადგურების, არხების, სარწყავ სისტემათა, სატრანსპორტო მაგისტრალების, მაღალ შენობათა მშენებლობა, ჭაობიანი და ნაკვენი მიწების ათვისება, ქალაქების, კურორტების, საბჭოთა და კოლექტიურ მეურნეობათა კეთილმოწყობა. ამ სპეციალობის ინჟინერთა გარეშე წარმოუდგენელია ნავთობის, ქვანახშირის, გაზის, მარილების, მარილწყლების, მინერალური წყლების, თერმული წყლების, სხვადასხვა მადნის და სამშენებლო მასალების მოპოვება და დამუშავება.

ნავთობისა და გაზის საბადოების გეოლოგია და ძიება. სხვა სასარგებლო წიაღისეულთან ერთად საქართველო მდიდარია ნავთობისა და გაზის საბადოებით. უკანასკნელ ათწლეულში ჩვენში მკვეთრად გაიზარდა ნავთობის მოპოვება. რა განაპირობა ახალი საბადოების აღმოჩენამ? წინ ამ მიმართულებით დიდი პერსპექტივებია.

ნავთობისა და გაზის საბადოების გამოსავლენად, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა ამა თუ იმ რეგიონის გეოლოგიური აგებულებისა და გეოლოგიური განვითარების ისტორიის საფუძვლიანი შესწავლა, ნავთობისა და გაზის წარმოშობის პირობების, მათი დაგროვებისა და მიწის სიღრმეში განაწილების კანონზომიერების დადგენა; რეგიონული ნავთობგაზშემცველი ტერიტორიების ფორმირებისა და განაწილების ზოგადი კანონზომიერებების გამოვლენა, ცალკეულ გეოლოგიურ პროვინციებში ნავთობისა და გაზის მაქსიმალური რესურსების კონცენტრაციის ზონების დადგენა.

ჩვენი სტუდენტები საწარმოო პრაქტიკას გადიან გაერთიანება „საქნავთობის“ სისტემაში, აგრეთვე ჩრდილოეთ კავკასიის (გროზნო) და აზერბაიჯანის (ბაქო) შესაბამის გეოლოგიურ ორგანიზაციებში. აქ ისინი ეცნობიან ნავთობისა და გაზის ცალკეული საბადოების გეოლოგიურ აგებულებას, მათში ნავთობისა და გაზის ფორმირებისა და განაწილების ხასიათს, საბადოების ძიების მეთოდებსა და ხერხებს.

აღნიშნულ სპეციალისტებს ამზადებს ნავთობისა და გაზის საბადოების დაზვერვისა და ბურღვის კათედრა, რომელიც მაღალკვალიფიციური კადრებით არის დაკომპლექტებული, აქვს კარგად აღჭურვილი კაბინეტ-ლაბორატორიები. კურსდამთავრებულები მუშაობენ გაერთიანება „საქნავთობში“, მოძმე რესპუბლიკების გეოლოგიურ ორგანიზაციებში, სამეცნიერო-კვლევით და სასწავლო ინსტიტუტებში.

სასარგებლო წიაღისეულის საბადოების ძიების ტექნოლოგია და ტექნიკა. ამ სპეციალობით კურსდამთავრებულებს მუშაობა უხდებათ, ძირითადად, გეოლოგიის სამინისტროს ორგანიზაციებში — უმეტესად კი საქართველოს გეოლოგიის სამმართველოს საძიებო ექსპედიციებში ცალკეული საბადოების დაზვერვისათვის საჭირო სამთო და საბურღი სამუშაოების მწარმოებლად.

სამთო და საბურღი სამუშაოების ტექნოლოგიის სწორი წარმართვა ინჟინრისგან მოითხოვს ღრმა თეორიულ ცოდნას და პრაქტიკულ გამოცდილებას, რასაც სტუდენტები იღებენ ინსტიტუტში სწავლის პერიოდში და სასწავლო და საწარმოო პრაქტიკის დროს.

იმის გამო, რომ ეს სპეციალობა შედარებით ახალია და მეტად საჭიროა სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებისათვის, სტუდენტებს, რომლებიც წარმატებით ეუფლებიან მას, გადიდებული სტიპენდია აქვთ.

ნავთობისა და გაზის საბადოების დამუშავების ტექნოლოგია და კომპლექსური მექანიზაცია. ნავთობისა და გაზის მოპოვება რთული პროცესია. იგი მოიცავს მიწის ღრმა ფენებში არსებული სითხისა და გაზის მართვას სხვადასხვა გეოლოგიურ პირობებში, ჭაბურღილების მეშვეობით მათს ამოყვანას მიწის ზედაპირზე, აგრეთვე ნავთობისა და გაზის პირველ მომზადებას ტრანსპორტირებისათვის. ტექნოლოგიური ამოცანების გადაწყვეტა მოითხოვს მეცნიერების სხვადასხვა დარგის — მათემატიკის, ქიმიის, გეოლოგიის, ჰიდრომექანიკის, ეკონომიკის, ნავთობისა და გაზის საბადოების დამუშავების პროექტირების თეორიის ღრმა და საფუძვლიან ცოდნას.

ამ სპეციალობის სტუდენტები საწარმოო პრაქტიკას გადიან გაერთიანება „საქნავთობის“, აგრეთვე ჩრდილო კავკასიის და აზერბაიჯანის ნავთობგაზმომპოვებელ საწარმოებში, სადაც ეცნობიან ნავთობისა და გაზის ჭაბურღილების დამუშავების თანამედროვე სისტემებს, მოპოვების მეთოდებს, საწარმოო პროცესების მართვის საშუალებებს.

კურსდამთავრებულები მუშაობენ ნავთობისა და გაზის მომპოვებელ საწარმოებში, გაერთიანება „საქნავთობში“, საპროექტო და სასწავლო ინსტიტუტებში.

ნავთობისა და გაზის ჭაბურღილების ბურღვა. სასარგებლო წიაღისეულის (მადნეული საბადოების, ნავთობისა და გაზის, ქვანახშირის, თერმული წყლების და სხვა) დაზვერვის დროს დიდი მნიშვნელობა ენიჭება ჭაბურღილების ბურღვას. მხოლოდ ბურღვის საშუალებით შეიძლება უშუალოდ დავაკვირდეთ და შევისწავლოთ მიწის სიღრმეში არსებული ქანები.

რამდენიმე კილომეტრი სიღრმის ჭაბურღილის გაყვანა ძალზე რთული ტექნიკური ამოცანაა. საბურღი მოწყობილობათა სრულყოფილი ექსპლოატაცია, თანამედროვე ტექნიკის გამოყენება და ტექნოლოგია ჭაბურღილების ბურღვის სპეციალისტისაგან მოითხოვს ღრმა თეორიულ ცოდნასა და რიგიან პრაქტიკულ მომზადებას.

ბურღვის სპეციალისტებს ამზადებს ნავთობისა და გაზის საბადოების დაზვერვისა და ბურღვის კათედრა პროფესორ ა. ლალიევის ხელმძღვანელობით. საწარმოო პრაქტიკას სტუდენტები გადიან უმთავრესად გაერთიანება „საქნავთობში“, აგრეთვე სსრ კავშირის ნავთობის მოპოვებისა და გეოლოგიის სამინისტროს სხვადასხვა საწარმო-ორგანიზაციაში.

ასე რომ, ჩვენს ფაკულტეტზე აბიტურიენტებს დიდი არჩევანი აქვთ და ჯერი მათზეა.

ვ. ჟუმბურიძე,
საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის გეოლოგიის ფაკულტეტის დეკანი, გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი.

საქართველოში საკუთარი „პეფსი-კოლა“ იქნება

საათში 4 ათას ბოთლ პეფსი-კოლას გამოუშვებს ქარხანა, რომელიც აფხაზეთის დაბა ბაბუშერაში შენდება. იგი მთლიანად დააკმაყოფილებს ჩვენი რესპუბლიკის მცხოვრებთა მოთხოვნილებას ამ სასმელზე. იმისათვის, რომ გასცნობოდნენ ქარხნის მშენებლობის მიმდინარეობას, ჩვენს რესპუბლიკაში ჩამოვიდნენ ფირმა „პეფსი-კოლას“ სპეციალისტები დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარის დონალდ ქენდალის მეთაურობით.

ფირმის წარმომადგენლები მიიღეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში. სტუმრებს საქართველოს მთავრობის სახელით მიესალმნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრი, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ო. ე. ჩერქეზია და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ო. გ. ვარძელაშვილი. გაიმართა დაინტერესებული საუბარი, რომელიც ეხებოდა ფირმასა და ჩვენს რესპუბლიკას შორის საქმიანი თანამშრომლობის შემდგომი გაფართოების შესაძლებლობებს.

დ. ქენდალმა მადლობა გადაიხადა გულითადი მიღებისათვის, აღნიშნა, რომ საბჭოთა ორგანიზაციებთან ფირმა „პეფსი-კოლას“ სულ უფრო მზარდი თანამშრომლობა თვალსაჩინოდ მოწმობს სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების ხელსაყრელი ურთიერთობის შესაძლებლობებს.

შეხვედრაში მონაწილეობდნენ სსრ კავშირის კვების მრეწველობის მინისტრის მოადგილე, ვ. ა. ჩებიშევი, საქართველოს კვების მრეწველობის მინისტრი რ. ჰ. კონცელიძე, სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის სამინისტროს რწმუნებული საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში რ. ს. ელიგულაშვილი.

იმავე დღეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ სადილი გაუმართა ამერიკელ სტუმრებს.

სტუმრები გაეცნენ თბილისის ღირსშესანიშნაობებს, ეწვიევნენ მცხეთას, გორს, ბორჯომს, ქუთაისს, სოხუმს. (საქინფორმი).

„პარტიული სიტყვა“ № 11

გამოვიდა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ჟურნალის „პარტიული სიტყვის“ მორიგი, მეთერთმეტე ნომერი.

ანშლაგით „ხორცი შევასხათ სკკპ XXVI ყრილობის გადაწყვეტილებებს!“ დაბეჭდილია ვ. გოგოლაძის სტატია — დაე, ცას ასწვდეს ხარაჩოები!

ადგილობრივი საბჭოების არჩევნებს ეძღვნება კ. მახარაძის წერილი — კარგი ჰქენი, ქვაზე დადე...

რუბრიკით „დღეს როგორც ვიშრომებთ, ხვალ ისე ვიცხოვრებთ“ გამოქვეყნებულია ბ. გულიაშვილის წერილი — რატომ დაკარგეს პასუხისმგებლობის გრძნობა?

განყოფილებაში „წიგნის თარო“ თქვენ გაეცნობით ლ. კეთილაძის წერილს — ათწლეულის მატიანე.

ჟურნალი აქვეყნებს ბ. იაშვილის რეპლიკას — ვისია პურის საცხობი?

რუბრიკით „სიცოცხლეო, სამშობლოვ!“ დაბეჭდილია ვ. მჭედლიშვილის წერილი — უკვდავება.

„საფიხვნო“ — ასეთი ქუდით არის გამოქვეყნებული ს. ქეთელაურის სტატია — ჩვენ და ჩვენი შვილები.

ჟურნალი სათაურით „ვიწვევთ ახალგაზრდა მიმომხილველებს“ აცხადებს კონკურსს სსრ კავშირის შექმნის მე-60 წლისთავთან დაკავშირებით.

ჟურნალს აქვს განყოფილებები: „ჟურნალის კრიტიკული გამოსვლის შემდეგ: გამოძახილი“; „სსრკ — 60. მძლე კავშირი ძმური“; „შენი საუბრის თემა“; „გამოიყენე საუბრისას“ და სხვა.

ორი მიდგომა ერთი პრობლემისადმი

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სპეციალურ სესიაზე

ნიუ-იორკი. ახალი საბჭოთა სამშვიდობო ინიციატივები, და უწინარეს ყოვლისა, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის განიარაღების მეორე სპეციალური სესიისადმი სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლ. ი. ბრეჟნევის წერილში მოცემული სსრ კავშირის ვალდებულება პირველმა არ გამოიყენოს ბირთვული იარაღი, ხსნის საერთაშორისო მშვიდობის დამკვიდრების, გამალებული შეიარაღების შეწყვეტის, რეალური განიარაღების მიღწევის გზების ძიების ახალ პერსპექტივებს. გამოთქვამენ რა ამ აზრს, სპეციალურ სესიაზე მიმდინარე საერთო დისკუსიის მონაწილე სახელმწიფოთა უმრავლესობის წარმომადგენლები ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ ეს კურსი კარდინალურად განსხვავდება კონფრონტაციისა და გამალებული შეიარაღების შემდგომი გაძლიერების პოლიტიკისაგან, რომელსაც ფორუმის მონაწილეებს თავს ახვევს შეერთებული შტატები.

უდიდესი კმაყოფილებით აღვიქვით და მაღალი შეფასება მივეცით სსრ კავშირის ცალმხრივი წესით ნაკისრ ვალდებულებას პირველმა არ გამოიყენოს ბირთვული იარაღი, განაცხადა სესიაზე სირიის დელეგაციის მეთაურმა დიალა ალ-ფატალმა.

რაც შეეხება ვაშინგტონის პოზიციას, აღნიშნა მან, ფაქტები მოწმობენ ამერიკის იმპერიალიზმის აგრესიულობის შემდგომ გაძლიერებას. სწორედ შეერთებული შტატების ბრალია საერთაშორისო დაძაბულობის ახლანდელი გამწვავება. თუმცა მსოფლიოს ხალხები შეშფოთებითა და გულისწყრომით ლაპარაკობენ მომავალი ომის საშიშროების შესახებ, ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტისა და ამერიკის სხვა ხელმძღვანელთა უკანასკნელ გამოსვლებში კვლავ გაისმოდა „შეზღუდული“ ბირთვული ომის ქება-დიდება, „მოსაზრებანი, რომ თითქოს შეიძლება ასეთი ომის წარმოება და მასში გამარჯვება“.

სკკპ XXVI ყრილობაზე მიღებული 80-იანი წლების სამშვიდობო პროგრამა განსაზღვრავს ომის საფრთხის შენელების, დაძაბულობის შენელების გაღრმავების, სხვადასხვა საზოგადოებრივი წყობის სახელმწიფოთა ფართო თანამშრომლობის განვითარების რეალისტურ მიმართულებებს, განაცხადა უკრაინის სსრ საგარეო საქმეთა მინისტრმა ვ. ნ. მარტინენკომ, იგი ქმნის რთული საერთაშორისო პრობლემების გადაჭრის შესაძლებლობებს არა კონფრონტაციის გზით, არამედ პატიოსანი, თანასწორუფლებიანი მოლაპარაკების საფუძველზე.

სწორედ ამ მიზნის მიღწევას ითვალისწინებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის განიარაღების მეორე სპეციალური სესიისადმი ლ. ი. ბრეჟნევის წერილში მოცემული ვალდებულება იმის შესახებ, რომ საბჭოთა კავშირმა პირველმა არ გამოიყენოს ბირთვული იარაღი. თუ ყველა ბირთვული სახელმწიფო იკისრებს ასეთივე ვალდებულებას, ფაქტიურად არ იქნება არც პირველი, არც მეორე, არც მესამე ბირთვული დარტყმა, ხოლო ყოვლისშემმუსრავი ბირთვული იარაღის გამოყენება, რომლის წინააღმდეგაც ილაშქრებს მსოფლიოს ქვეყნების დიდი უმრავლესობა, აიკრძალება, განაცხადა უკრაინის სსრ საგარეო საქმეთა მინისტრმა.

გამოხატა რა დისკუსიის ბევრი მონაწილის აზრი, ზედა ვოლტის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა და თანამშრომლობის მინისტრმა ფ. ტიენტარბუმ ხაზგასმით აღნიშნა, რომ განიარაღების საქმეში კონკრეტული შედეგების მიღწევის ერთადერთი საშუალებაა მოლაპარაკება. იგი მიესალმა საბჭოთა კავშირ-ამერიკის მომავალ მოლაპარაკებას სტრატეგიული შეიარაღების შეზღუდვისა და შემცირების შესახებ, მას დაძაბულობის შენელების გზაზე „იმედის მომცემი ნიშანი“ უწოდა.

ამას თვითონ აღიარებენ

დისკრიმინაციული აქცია

ბონი. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობა „გაოცებით“ შეხვდა პრეზიდენტ რეიგანის გადაწყვეტილებას სსრ კავშირის მიმართ ეკონომიკური „სანქციების გაფართოების“ შესახებ, აღნიშნა პრესკონფერენციაზე გამოსვლისას მთავრობის წარმომადგენელმა კ. ბელინგმა. მან აღნიშნა, რომ ამერიკის ადმინისტრაციის გადაწყვეტილება მიღებული იქნა გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასთან მოუთათბირებლად.

კ. ბელინგმა გამოთქვა შეშფოთება, რომ ამერიკის გადაწყვეტილება უარყოფითს გავლენას მოახდენს დასავლეთ გერმანიის ფირმების მუშაკთა დასაქმებაზე, რომლებიც ციმბირ-დასავლეთ ევროპის გაზსადენის მშენებლობის სახელშეკრულებო ვალდებულებებს ასრულებენ, და თქვა: „გაზ-მილების“ პროექტი აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობის მაგალითია და იგი მასტაბილიზებელ როლს ასრულებს მათს ურთიერთობაში. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობა შეეცდება უზრუნველყოს გარიგებასთან დაკავშირებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულება“.

ვაშინგტონის დისკრიმინაციული ღონისძიებებით აღშფოთებულნი არიან დასავლეთ გერმანიის საწარმოთა მუშაკები, რომლებიც საბჭოთა კავშირის შეკვეთებს ასრულებენ. კონცერნ „აეგ-ტელეფუნკენის“ ადმინისტრაციამ გააკეთა განცხადება, რომელშიც ნათქვამია, რომ ეს ღონისძიებები სერიოზულ ზიანს აყენებს საწარმოს, ვინაიდან საფრთხეს უქმნის რამდენიმე ათასი მუშის დასაქმებას.

ჟურნალისტებთან საუბრისას კონცერნის ჰესენის ქარხნების საწარმოო საბჭოს თავმჯდომარემ ჰანს ფერმა განაცხადა, რომ მუშები კატეგორიულად უარყოფენ ვაშინგტონის ღონისძიებებს, რადგან მიაჩნიათ, რომ ამ ღონისძიებათა მიზანია ჩაშალონ უკვე დადებული ხელშეკრულებანი საბჭოთა შეკვეთების შესრულების შეფერხების მიზნით.

ტოკიო. ამერიკის ადმინისტრაციის გადაწყვეტილებას საბჭოთა კავშირის მიმართ ეკონომიკური „სანქციების“ გაძლიერების შესახებ აღშფოთებით შეხვდნენ იაპონიაში. ქვეყნის საქმიან წრეებში მიაჩნიათ, რომ ვაშინგტონის მოქმედება, რომლის მიზანია დააბრკოლოს იაპონია-საბჭოთა კავშირის ეკონომიკური ურთიერთობის განვითარება, სერიოზულ ზიანს აყენებს უწინარეს ყოვლისა იაპონიის ინტერესებს.

გაზეთი „მაინიტი“ წერს, რომ რეიგანის ადმინისტრაციის გადაწყვეტილება ფაქტობრივად ხელყოფს ამერიკის შეერთებული შტატების მოკავშირე ქვეყნების სუვერენიტეტს. იაპონიის საგარეო საქმეთა მინისტრმა ი. საკურაუჩიმ ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანს ა. ჰეიგს გაუგზავნა წერილი, რომელშიც მოითხოვა გადასინჯონ ვაშინგტონის გადაწყვეტილება.

პრემიერ-მინისტრმა დ. სუძუკიმ მინისტრთა კაბინეტის სხდომაზე „სინანული“ გამოთქვა ამერიკის შეერთებული შტატების ცალმხრივი მოქმედების გამო. როგორც გაზეთი „ნიჰონ კეიძაი“ იუწყება, იაპონიის მთავრობამ გადაწყვიტა პროტესტის ოფიციალური განცხადება გაუგზავნოს ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას.

● მაროკო

მინისტრის განცხადება

რაბატი. მაროკო მოითხოვს მთლიანად და უსიტყვოდ გამოიყვანონ ისრაელის ჯარები ლიბანიდან. ეს განაცხადა მაროკოს საგარეო საქმეთა სახელმწიფო მინისტრმა ნ. ბუსეტამ, როცა შეხვდა რაბატში პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის წარმომადგენელს აბუ მერვანს, იუწყება მაროკოს საინფორმაციო სააგენტო.

● არგენტინა

ახალი პრეზიდენტი

ბუენოს-აირესი. არგენტინის ახალ პრეზიდენტად დაინიშნა გადამდგარი გენერალი რეინალდო ბინიონე. ეს ნათქვამია აქ გავრცელებულ ქვეყნის არმიის სარდლობის ოფიციალურ განცხადებაში.

ჟენევის მოლაპარაკებაზე

ჟენევა. აქ პლენარული სხდომა გამართეს ევროპაში ბირთვული შეიარაღების შეზღუდვის საკითხთა მოლაპარაკებაზე წარგზავნილმა სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციებმა.

ფოტოინფორმაცია

● პოლონეთი

ინტერესით ეცნობიან საბჭოთა ექსპოზიციას

საგამომცემლო საქმეში, პოლიგრაფიაში მოპოვებულ წარმატებათა ნათელ დემონსტრაციად იქცა წიგნის საერთაშორისო ბაზრობა, რომელიც ვარშავაში გაიმართა.

ბაზრობაზე ერთ-ერთი უდიდესი ექსპოზიცია წარმოადგინა საბჭოთა კავშირმა. გამოფენილი იყო მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა ნაწარმოებები, საბჭოთა ხალხის ცხოვრებისა და ალმშენებლობითი შრომის ამსახველი წიგნები, რუსული და საბჭოთა ლიტერატურის თვალსაჩინო წარმომადგენელთა თხზულებანი, სამეცნიერო და ტექნიკური გამოცემები, საბავშვო წიგნები. სსრ კავშირის ექსპოზიციის ცენტრალური თემა გახლდათ საბჭოთა კავშირის შექმნის მესამოცე წლისთავი.

სურათზე: მნახველები ათვალიერებენ საბჭოთა ექსპოზიციას.

საქდესის ფოტო.

● უნგრეთი

უნგრელი ავტომობილმშენებლები, რომლებიც ფართოდ ცნობილი „იკარუსის“ მარკის მანქანებს უშვებენ, მისი სხვადასხვა მოდიფიკაციების გამოშვებას ითვისებენ.

სურათზე: აეროპორტებში მგზავრთა გადასაყვანი და ტვირთის გადასაზიდი ორსართულიანი ავტობუსის საცდელი ნიმუში.

მტი-საქდესის ფოტო.

ახლო აღმოსავლეთი:

ავლაგმოთ აგრესორები

ისრაელი „ქორები“ კვლავ იმუქრებიან, რომ იერიშით აიღებენ დასავლეთ ბეირუთს, აშკარად აცხადებენ, რომ განზრახული აქვთ „ბოლო მოუღონ პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციასა და პალესტინელებს“. თავდაცვის მინისტრმა შარონმა მოითხოვა „პალესტინელებზე იერიში, სადაც უნდა იყვნენ ისინი, ამასთან მთელი ძალებისა და საშუალებების გამოყენებით“. კნესეტის (პარლამენტის) საგარეო საქმეთა და თავდაცვის კომისიის თავმჯდომარემ ბენ-ელისარმა, რომელიც ისრაელის რადიოთი გამოვიდა, თავხედურად განაცხადა, რომ ისრაელს განზრახული აქვს „მოსპოს დასავლეთ ბეირუთში პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის ბურჯი“.

ამერიკის ტელეკომპანიის ეი-ბი-სისათვის მიცემულ ინტერვიუში პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის აღმასკომის თავმჯდომარემ ი. არაფატმა აღნიშნა, რომ „ისრაელები, რომლებიც მჭიდროდ თანამშრომლობენ პენტაგონთან, ემზადებიან ბეირუთის შტურმისათვის“. მაგრამ ჩვენი მებრძოლები, ლიბანელები და პალესტინელები, ხაზგასმით აღნიშნა მან, არ დაყრიან იარაღს და გადაწყვეტილი აქვთ საკადრისი პასუხი გასცენ. მიმართა რა ამერიკის საზოგადოებრივ აზრს, ი. არაფატმა განაცხადა, რომ ლიბანში საქმე ეხება „ამერიკის შეჭრას“. მან ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის მოქმედებას ლიბანის მიწა-წყალზე „ბინძური და სამარცხვინო“ უწოდა. პენტაგონის მიერ მოწონებული გეგმის შესაბამისად, თქვა ი. არაფატმა, დახოცეს და დაჭრეს 30 ათასი ლიბანელი და პალესტინელი, დაანგრიეს ლტოლვილთა 14 ბანაკი, 3 ქალაქი, 35 სოფელი.

ბეირუთის დასავლეთის სექტორს დღისით და ღამით ინტენსიურად უშენენ არტილერიის ცეცხლს ზღვიდან და ხმელეთიდან. აგრესორის ცეცხლი ცელავს მშვიდობიან მცხოვრებლებს — ლიბანელებსა და პალესტინელებს. სამოქალაქო თავდაცვის რაზმები განაგრძობენ მაშველ სამუშაოებს. ნაცარტუტად ქცეული შენობები, დამსხვრეული ქვისა და აგურის გროვები, დამტვრეული ავტომობილები, რომელთა შორის ხშირად გვხვდება სასწრაფო დახმარების მანქანები, — ასეთია ლიბანის დედაქალაქში ნგრევის ტრაგიკული სურათი.

აგრესორი კვლავ ეზიდება რეზერვებსა და ტექნიკას ბეირუთის სამხრეთ გარეუბნებისაკენ. ისრაელთა 120-მდე ტანკი თავმოყრილია დამურის რაიონში, აქვე საიდიდან გადმოჰყავთ ქვეითი ჯარით დატვირთული 75 ჯავშანტრანსპორტიორი.

სამხრეთ ლიბანში დამპყრობნი შეუდგნენ საკონცენტრაციო ბანაკის მშენებლობას, სადაც აპირებენ ელიან მავთულხლართებში მოათავსონ 4 ათასზე მეტი პალესტინელი.

მაგრამ წინააღმდეგობა ინტერვენტებისადმი გრძელდება. პარტიზანთა ჯგუფები გაბედულ ოპერაციებს ახორციელებენ ისრაელის ჯარების წინააღმდეგ მათ მიერ მიტაცებულ ტერიტორიებზე. მარტო უკანასკნელი ორი დღის მანძილზე მოსპეს მოწინააღმდეგის რამდენიმე ტანკი და ჯავშანტრანსპორტიორი, დახოცეს ისრაელთა სამი ოფიცერი და ათასზე მეტი ჯარისკაცი.

თვით ისრაელში იზრდება შეშფოთება მმართველი სიონისტური ზედაფენის სამხედრო ავანტიურის საშიშ შედეგებთან დაკავშირებით.

იერუსალიმში გაიმართა ისრაელის ინტელიგენციის წარმომადგენელთა პრესკონფერენცია, რომლის მონაწილეებმა დაგმეს თელ-ავივის მიერ გაჩაღებული ომი.

ბეირუთში ლიბანის პრემიერ-მინისტრი შ. ვაზანი ეთათბირა ი. არაფატსა და პალესტინის სხვა ხელმძღვანელებს. გაიმართა აგრეთვე ეროვნული ხსნის კომიტეტის სხდომა, რომელზეც განიხილეს ქვეყანაში იმ კრიზისული სიტუაციის დაძლევის შესაძლო გზები, რომელიც ისრაელის ბარბაროსული აგრესიის შედეგად წარმოიშვა.

საერთაშორისო წითელი ჯვრის წარმომადგენელთა განცხადებების თანახმად, ისრაელი კვლავინდებურად ხელს უშლის დაზარალებული ლიბანელებისა და პალესტინელებისათვის სასწრაფო სამედიცინო და სხვა დახმარების აღმოჩენას.

პალესტინელ ლტოლვილთა საბრის ბანაკში 21 ივნისს საარტილერიო ცეცხლი დაუშინეს სააავადმყოფო „აკას“, რის შედეგადაც ბევრი ავადმყოფი დაიხოცა ან დაიჭრა. ამის გამო პალესტინის წითელი ნახევარმთვარის საზოგადოებამ მოუწოდა მსოფლიოს საზოგადოებრიობას მოაწყოს ლიბანში ისრაელთა დანაშაულის გამოძიება.

ყველა საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელთა კომპეტენციაში შედის ადამიანის უფლებათა დაცვა, ხაზგასმულია მოწოდებაში, მოვალეა შეიმუშაოს და თელ-ავივის წინააღმდეგ გამოიყენონ შესაბამისი ეფექტიანი სანქციები.

საერთაშორისო ცხოვრება
დედამიწის ზურგზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქდესისა და ახალი ამბების სააგენტოს კორესპონდენტები გვატყობინებენ

ფაქტები მოვლენები

„ჟოლნეჟ ვოლნოსტის“ ფურცლებზე

სუვერენიტეტისა და უშიშროების გარანტია

ვარშავა. პოლონეთის სახალხო რესპუბლიკა არის და იქნება სოციალისტური თანამეგობრობის, ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაციისა და ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს მტკიცე რგოლი, წერს „ჟოლნეჟ ვოლნოსტი“.

გაზეთმა გამოაქვეყნა სტატია, რომელიც მიეძღვნა სოციალიზმის ქვეყნების თანამეგობრობაში პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის როლს. სტატიაში აღნიშნულია, რომ პოლონეთის თანამშრომლობას საბჭოთა კავშირთან და სხვა მოძმე ქვეყნებთან გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. ამ თანამშრომლობის განმტკიცება, სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების ინტერნაციონალისტური დახმარება ხელს უწყობს სიძნელეთა დაძლევას პოლონეთში.

ეს, წერს გაზეთი, კონიუნქტურული მოსაზრებები როდია, არამედ ისტორიული განვითარების მთელი მიმდინარეობით მრავალგზის დადასტურებული ჭეშმარიტებაა. იგი ემყარება სოციალისტური სახელმწიფოების მიზანთა ერთიანობას, შეესაბამება პოლონელ მშრომელთა ძირეულ ინტერესებს, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო პოლიტიკის პრინციპებს.

პოლონეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობა, რომელიც განმტკიცებულია მეორე მსოფლიო ომის ბრძოლის ველებზე ერთად დაღვრილი სისხლით, აღნიშნულია სტატიაში, პოლონეთის სუვერენიტეტის, უშიშროებისა და მშვიდობიანი მომავლის მთავარი გარანტიაა. ეს უდავო ჭეშმარიტება მთელი ძალით საჭიროა აღვნიშნოთ, სწორედ ახლა, როცა სოციალიზმის მტრები პოლონეთში და მათი დასავლელი მფარველები ცდილობენ ცილი დასწამონ პოლონელი და საბჭოთა ხალხების მეგობრობასა და თანამშრომლობას.

ომის შემდეგ აღორძინებულმა პოლონეთის სახელმწიფომ ავტორიტეტი უწინარეს ყოვლისა მოიპოვა საბჭოთა კავშირთან კეთილმეზობლური ურთიერთობით, მეგობრობითა და მჭიდრო თანამშრომლობით. სწორედ სსრ კავშირი და სხვა მოძმე ქვეყნები, რომლებიც სოციალისტური ინტერნაციონალიზმის პრინციპებით ხელმძღვანელობენ, პოლონეთს ეხმარებიან მდგომარეობის ნორმალიზაციაში. ეს ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, დასძენს „ჟოლნეჟ ვოლნოსტი“.

● მონღოლეთი

გააძევეს ქვეყნიდან

ულან-ბატორი. კომპეტენტური ორგანოების გადაწყვეტილებით მონღოლეთიდან გააძევეს ულან-ბატორში მცხოვრები ჩინური ეროვნების მოქალაქეთა ჯგუფი.

როგორც მონცამეს სააგენტო იუწყება, ეს პირნი ეწეოდნენ დანაშაულებრივ საქმიანობას, არღვევდნენ სოციალისტურ კანონიერებას, ცხოვრობდნენ არაშრომითი შემოსავლით. ბევრი მათგანი ადრე პასუხისგებაში იყო მიცემული.

გაზეთი „ულან-ბატორინ მედე“ ყურადღებას მიაპყრობს იმას, რომ მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკაში მცხოვრებ შრომისუნარიან ჩინელთა მნიშვნელოვანი ნაწილი ყოველნაირად თავს არიდებს საზოგადოებრივად სასარგებლო შრომას, არალეგალურად მისდევს კერძო მეწარმეობასა და სპეკულაციას. აღნიშნული მოქმედება ძირეულად ეწინააღმდეგება მონღოლეთის სახალხო რევოლუციური პარტიისა და მონღოლეთის სახალხო სახელმწიფოს პოლიტიკას, ხაზგასმით აღნიშნავს გაზეთი.

● საფრანგეთ-ესპანეთი

ფ. მიტერანის ვიზიტი

მადრიდი. ესპანეთის დედაქალაქში ოფიციალურ ვიზიტად ჩამოვიდა საფრანგეთის პრეზიდენტი ფ. მიტერანი.

მისი მოლაპარაკება ესპანეთის ხელმძღვანელებთან, იუწყება ადგილობრივი პრესა, დაიწყო ორმხრივ ურთიერთობაში მთელი რიგი საერთაშორისო პრობლემებისა და საკითხების გამო ღრმა უთანხმოებათა აღნიშვნით. ესპანეთი, რომელიც რამდენიმე წელია „საერთო ბაზარში“ შესვლას ლამობს, ამ საკითხში პარიზის წინააღმდეგობას აწყდება.

ესპანეთის მეფის ხუან კარლოსის მიერ ფ. მიტერანის პატივსაცემად გამართულ სადილზე საფრანგეთის პრეზიდენტმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ „ესპანეთის შესვლა ევროპის ეკონომიკურ გაერთიანებაში იმ დროს, როცა გაერთიანებაში ჯერ კიდევ არ მოწესრიგებულა ხმელთაშუა ზღვის ქვეყნების სოფლის მეურნეობის პროდუქციის ვაჭრობა, კიდევ უფრო გააღრმავებდა ამ სფეროში არსებულ ანარქიას“.

თავის მხრივ ესპანეთის მეფემ გამოთქვა იმედი, რომ მის ქვეყანას მალე მიიღებენ „საერთო ბაზარში“, და დასძინა, „თორემ მეგობრობაზე, სოლიდარობასა და თანამშრომლობაზე ლაპარაკიც კი ზედმეტი იქნებაო“.

ჯ. ჰინკლი უდანაშაულოდ ცნეს

ვაშინგტონი. ჯონ ჰინკლი, რომელიც სასამართლოს წინაშე წარსდგა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტ რ. რეიგანზე თავდასხმაში ბრალდებით, უდანაშაულოდ აღიარეს იმის საფუძველზე, რომ დანაშაულის ჩადენის დროს იგი შეურაცხადი იყო. ფედერალური მოსამართლის გადაწყვეტილებით ჰინკლის მოათავსებენ ვაშინგტონის ფსიქიატრიულ საავადმყოფოში. 50 დღის განმავლობაში სასამართლომ უნდა გადაწყვიტოს, შეიძლება თუ არა მისი გათავისუფლება იმის საფუძველზე, რომ იგი საზოგადოებისათვის საშიში სულით ავადმყოფი არ არის, თუ დატოვებენ ექიმთა მეთვალყურეობის ქვეშ.

ძმობა მცირეთაც განამრავლებს

ამ ცოტა ხნის წინათ ქალაქ ნოვოროსიისკში, მე და ჩემი თანამშრომლები ისეთი ამბის მოწმენი და მონაწილენი გავხდით, რის შესახებაც არ შემიძლია არ გიამბოთ გაზეთ „კომუნისტის" საშუალებით.

მკითხველებმა შეიძლება უკვე იციან კიდეც, რომ კინოსტუდია „ქართულ ფილმში" იქმნება ახალი მხატვრული ნაწარმოები — „მთის მწვანე ფერდობი" დრამატურგ ს. ქლენტის სცენარის მიხედვით. სწორედ ამ სურათის გადამღები კინოჯგუფი იმყოფებოდა ნოვოროსიისკში მთელ ორ თვეს. ამ გმირ ქალაქზე შემთხვევით როდი შეგვიჩერებია არჩევანი, ფილმის მთავარი გმირი (ქართველი ასტრონომი) სწორედ მცირე მიწაზე იბრძოდა და სიუჟეტის ძირითადი ნაწილიც ამ ქალაქსა და ლეგენდარულ მცირე მიწაზე მომხდარ მოვლენებს ეხება.

ნოვოროსიისკის მოსახლეობა და ქალაქის ხელმძღვანელობა ძმური გულითადობით გვეპყრობოდნენ და უდიდეს გულისხმიერებას იჩენდნენ თითოეული ჩვენგანის მიმართ.

და აი, ერთ მშვენიერ დღეს (ა. წ. 12 ივნისს) მოწმენი გავხდით ფრიად ღირსშესანიშნავი ამბისა: ქალაქის ერთ-ერთ უმშვენიერეს ქუჩაზე, რომელიც გენერალ-ლეიტენანტ კონსტანტინე ლესელიძის სახელობისაა, გაიხსნა ამ ლეგენდარული მხედართმთავრის მემორიალი და ამ მოვლენისადმი მიძღვნილ ზეიმზე ჩვენც მიგვიწვიეს — გენერალ ლესელიძის მიწა-წყლის შვილები ხართ, თქვენზე უკეთ ვინ დაამშვენებს დღევანდელ ზეიმსო, — გვითხრეს ნოვოროსიისკელმა მეგობრებმა.

მართლაც, ლამაზი და შთამბეჭდავი გახლდათ ეს ზეიმი — ქუჩის თავში ამხანაგ ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის პორტრეტის გვერდით, კონსტანტინე ლესელიძის პორტრეტი გამოეფინათ. ქუჩაში ხალხის ტევა არ იყო — სამხედრო ქვეგანაყოფები, მეზღვაურები, დიდი სამამულო ომის ვეტერანები, მამაცი მცირემიწელები, პიონერები, მოსწავლეები და სტუდენტები... ვის არ ნახავდით აქ; ირგვლივ ყვავილების ზღვა ტორტმანებდა...

და რამდენი რამ ითქვა იმ დღეს დიდ სამამულოზე, ქართველი ხალხის სასიქადულო შვილზე — კონსტანტინე ლესელიძეზე; ჰყვებოდნენ მის გმირობასა და ვაჟკაცობაზე, სტრატეგიულ ნიჭსა და გამჭრიახობაზე, მხედართმთავრულ შეუპოვრობასა და შემართებაზე. და ჩვენც, ამ ამბის უშუალო მონაწილეთ, თვალში სიხარულის ცრემლი გვიბრწყინავდა, გული სიამაყისა და მასპინძელთადმი მადლიერების გრძნობით გვევსებოდა.

...კვლავ ალაპარაკდა რეპროდუქტორი, დამსწრეთ აუწყა, რომ ზეიმის მონაწილეა კინოსტუდია „ქართული ფილმის" გადამღები ჯგუფი, რომელიც ქმნის მხატვრულ ფილმს მცირემიწელ მე...

კონსტანტინე ნიკოლოზის ძე (1908-1944) საბჭოთა კავშირის გმირი, ნიჭიერი საბჭოთა მხედართმთავარი, გენერალ-პოლკოვნიკი, მე-18 სადესანტო არმიის მეთაური, მცირე მიწის გმირი მეომარი",

ზეიმის დასასრულს ნოვოროსიისკის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილემ სამახსოვროდ გადმოგვცა საგანგებოდ დამზადებული ქვემეხის ჭურვი — მცირე მიწის წმიდათაწმიდა მიწითა და სათანადო წარწერით, რომელიც ზეიმზე გადაღებულ ფოტოსურათებთან ერთად, მალე თბილისის ხალხთა მეგობრობის მუზეუმში დაიდებს ბინას.

კიდევ რით იყო ღირსშესანიშნავი ეს დღე?.. გვიან საღამომდე ისმოდა სამხედრო და საესტრადო ორკესტრების ხმა. ახალგაზრდობის ლენინურ კომუნისტურ კავშირში ახალშესულთ საზეიმოდ გადაეცათ კომკავშირული ბილეთები; ასევე საზეიმოდ გადაეცათ ახალშობილთა მშობლებს პირმშოთა დაბადების მოწმობები, რის შემდეგაც გაიმართა ახალდაქორწინებულთა რეგისტრაცია.

ყოველივე ეს ისე გულწრფელად, ისე უშუალოდ ხდებოდა, რომ უნებლიეთ თვალზე ცრემლი მოგვადგებოდათ. და ჩვენც, რიცხობრივად მცირენი, თითქოსდა, უამრავნი ვიყავით იმ წუთებში, ჩვენ, რომლებიც მცირე მიწაზე ვიდექით — ქართველი მხედართმთავრის კონსტანტინე ლესელი...

დ. აბაშიძე,
კინორეჟისორი.

ყაბახი

პირველი ზღუდე გადავლახეთ...

ფეხბურთელთა მსოფლიო ჩემპიონატის ტაბლო

ESPANA 82

მატჩი № 25. ლა-კორუნია. პოლონეთი — პერუ 5:1 (0:0). პოლონელთაგან ბურთები გაიტანეს სმოლიარეკმა (56-ე წუთზე), ლიატომ (მე-60), ბონეკმა (62-ე), ბუნცოლმა (68-ე) და ციოლეკმა (77-ე). პერუელთაგან ერთი გოლი გაქვითა ლა როსამ (82-ე).

მატჩი № 26. ელჩე. ბელგია—უნგრეთი 1:1 (0:1). ბურთები გაიტანეს ბელგიელთაგან — ჩერნიატინსკიმ (76-ე), უნგრელთაგან — ვარგამ (27-ე).

მატჩი № 27. მალაგა. სსრ კავშირი-შოტლანდია 2:2 (0:1). საბჭოთა ფეხბურთელთაგან ბურთები გაიტანეს ჩივაძემ (მე-60) ...

თბილისის ა. ს. პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი

აცხადებს მიღებას 1982-1983 სასწავლო წლისათვის დღის განყოფილების შემდეგ ფაკულტეტებსა და სპეციალობებზე:

1. ქართული ფილოლოგიის ფაკულტეტი:

სპეციალობები: ა) ქართული ენა და ლიტერატურა; ბ) ბიბლიოთეკათმცოდნეობა და ბიბლიოგრაფია (ქართული სექტორი) გ) სომხური ენა, ლიტერატურა და ქართული ენა, ლიტერატურა.

2. რუსული ფილოლოგიის ფაკულტეტი:

სპეციალობები: ა) რუსული ენა და ლიტერატურა; ბ) რუსული ენა და ლიტერატურა ეროვნული (ქართული) სკოლებისათვის; გ) რუსული ენა, ლიტერატურა და ქართული ენა, ლიტერატურა; დ) აზერბაიჯანული ენა, ლიტერატურა და რუსული ენა, ლიტერატურა.

3. ისტორიის ფაკულტეტი:

სპეციალობა: ისტორია და პედაგოგიკა (ქართული სექტორი).

4. პედაგოგიკის ფაკულტეტი:

სპეციალობები: ა) დაწყებითი განათლების პედაგოგიკა და ...

(ზეპირი), სსრ კავშირის ისტორია (ზეპირი).

ისტორიისა და პედაგოგიკის სპეციალობაზე — სსრ კავშირის ისტორია (ზეპირი*), ქართული ენა და ლიტერატურა (წერა და ზეპირი), უცხო ენა (ზეპირი).

დაწყებითი განათლების პედაგოგიკისა და მეთოდიკის სპეციალობაზე — ქართული ენა და ლიტერატურა წერა* და ზეპირი), სსრ კავშირის ისტორია (ზეპირი), მათემატიკა (ზეპირი).

შენიშვნა: დაწყებითი განათლების პედაგოგიკისა და მეთოდიკის სპეციალობაზე საბუთები მიიღება დაწყებითი მუსიკალური განათლების (არანაკლებ ოთხი კლასი) მქონე პირებისაგან.

სკოლამდელი აღზრდის პედაგოგიკისა და ფსიქოლოგიის სპეციალობაზე — მშობლიური ენა და ლიტერატურა (წერა* და ზეპირი), სსრ კავშირის ისტორია (ზეპირი), ბიოლოგია (ზეპირი).

შენიშვნა: სკოლამდელი ...

...ის აბიტურიენტების რაოდენობა ჩასარიცხავ კონტინგენტს გადააჭარბებს რომელიმე სპეციალობაზე, მაშინ ჩარიცხვის ეს წესი არ განხორციელდება.

მიმდინარე წელს ინსტიტუტის დღის განყოფილებაზე პირველი ორი გამოცდის ჩაბარების შედეგების მიხედვით უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელთა ჩარიცხვის ექსპერიმენტი ტარდება შემდეგ სპეციალობებზე: მუსიკა-სიმღერა; ფიზიკა; მათემატიკა; ზოგადტექნიკური დისციპლინები და შრომა; ხაზვა, ხატვა და შრომა.

ინსტიტუტში შემსვლელებმა შემოაქვთ განცხადება რექტორის სახელზე. განცხადებას უნდა დაერთოს შემდეგი საბუთები:

...

ექსპოზიციის თემაა სამშობლო, თავისუფლება

თბილისელები ეცნობიან პალესტინელი მხატვრის ნაწარმოებებს



... ბადერი გვიამბობს, 1979 წელს რამალის მართლმადიდებელთა კლუბში მოწყობილი მათი ნამუშევრების გამოფენა დაწვეს. ასეთივე ბედი ეწია ღაზაში „წითელი ჯვრის ორგანიზაციაში" გამართულ გამოფენასაც.

პალესტინელი მხატვრები მაინც უკან არ იხევენ და 1979 ...

... ზოგადოებრიობისათვის. გალერეა რვა თვეს იყო დახურული. საქმეში ებრაელი მხატვრები ჩაერივნენ. მათ წერილი მისწერეს ბეგინს, თავიანთ აღშფოთებას გამოთქვამდნენ მხატვრების ასეთი აბუჩად აგდების გამო. ბოლოს, როგორც იქნა, ი. ბადერს გალერეის გასაღები დაუბრუნეს, ...

... სულ ექვსიოდე თვეს სწავლობდა ი. ბადერი თბილისში და გაოცებთ, რამდენი ნამუშევარი შეუქმნია ამ მოკლე ხანში მხატვარს. ექსპოზიციის ძირითადი თემა პალესტინელი ხალხის ბრძოლაა თავისუფლებისათვის, თავისი მიწა-წყლის დაბრუნებისათვის. ამას გრძნობთ მის ...

დ. ხუბულური.

მახარაძელთა პრემიერა

ახლახან მახარაძის ა. წუწუნავას სახელობის სახელმწიფო დრამატულმა თეატრმა წარმოადგინა ა. მითაიშვილის ახალი პიესა „გადაარჩინეთ პროფესორი თაბაგარი", რომელიც ჩვენს თანამედროვეთა მორალურ სახეებს წარმოგვიჩენს (დამდგმელი რეჟისორი — აჭარის ასსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ე. ჩაიძე, მხატვარი — მ. თუთარიშვილი, კომპოზიტორი — აჭარის ასსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე თ. შამილაძე).

ტელევიზია

24 ივნისი

მოსკოვი

... თელთა მსოფლიო ჩემპიონატი. საფრანგეთისა და ჩეხოსლოვაკიის ნაკრები გუნდები, 00,10 — დღეს მსოფლიოში.

მეორე პროგრამა. 9.00 — დილის ვარჯიში, 9.20 — გამოგვეხმაურეთ, მეგობრებო! 10.05 — ...

თბილისი

...

თბილისის ი. ჭავჭავაძის სახელობის უცხო ენათა სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი

აცხადებს მიღებას 1982-1983 სასწავლო წლისათვის დღის სწავლების განყოფილებაზე:

...

კომუნისტი

ჩვენი მისამართი და ტელეფონები

380096, თბილისი-96. ლენინის ქ. 14.

რედაქცია:

რედაქტორის მოადგილეების — 99-93-03, 99-03-09, პ/მდივნის — 99-72-80, სამდივნოსი — 99-66-10, განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრების — 99-67-61, მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის — 93-22-98, სოფლის მეურნეობის — 99-52-46, მრეწველობისა და ტრანსპორტის — 93-20-34, საბჭოთა მშენებლობის — 93-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 93-27-55, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, კორესპონდენტთა ქსელის და პრესის მიმოხილვის — 99-05-29, ...

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, ლენინის ქ. 14.